# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 1 მარტი. 2024 წ. №25 (9705) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი




# მარტის კატასავით აჩეხილი პრეზიდენტის ბუტბური ლონდონში

## ზურაბიშვილმა, თავისი მოკლე ჭკუით, ქართული ეკლესია დამარხა!!!

ძალიან კომპლექსური ვითარებაა, რისი მიზეზიც დღეს პატრიარქის სისუსტეა, რომელმაც აქამდე ძალიან მტკიცედ შეინარჩუნა ეკლესიის ძველი მეთოდები, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ლონდონში, საერთაშორისო საქმეთა სამეფო ინსტიტუტში სტუმრობისას, ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომელმაც საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის როლზე ჰკითხა. კერძოდ, ეთანხმება თუ არა პრეზიდენტი იმ მოსაზრებას, რომ ეკლესია ქვეყანაში „რუსეთის რბილ ძალას“ წარმოადგენს.

**„ვფიქრობ, მართლმადიდებლური ეკლესია, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა მართლმადიდებლურ ქვეყანაში, ძალიან ახლოს არის ძალასთან და მიდრეკილია აჰყვეს თანამედროვე მიდგომას, მე ვიტყოდი, მიდრეკილია ნიუანსების ცვლილებისკენ.**

**ასე რომ, იმედი მაქვს, რომ ეკლესია, ამ შემთხვევაშიც, პროდასავლურ რიტორიკას მიჰყვება და რადგან მე ვარ ოპტიმისტი და დარწმუნებული ვარ საქართველოს გამძლეობაში, ქართული ეკლესია მოახერხებს პროქართული და პროევროპული პატრიარქის არჩევას და არა პრორუსის“....**

## შავი ქალბატონის შავი ზრახვები შავ ზღვაზე...

**ჩვენ რეაგირება ახლავე უნდა გვქონდეს, არ უნდა დაველოდოთ ოკუპირებულ აფხაზეთში პორტის მშენებლობას და ფუნქციონირებას. რუსეთმა უნდა დაინახოს, რომ ევროკავშირი თვლის, რომ შავი ზღვა არის დე ფაქტო ევროპული ზღვა, სადაც ევროპას აქვს ყოფნის უფლება,** – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა **სალომე ზურაბიშვილმა** BBC-სთან ინტერვიუში განაცხადა.

**კითხვაზე, შესაძლოა, თუ არა უკრაინაში ომის ფონზე ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის პორტის აშენებამ საქართველოს ომში ჩათრევა შეძლოს?** – პრეზიდენტმა უპასუხა: „შეიძლება“.

**„ამ დროისთვის ეს პროექტი არის რუსული პროპაგანდის ნაწილი. პუტინი, „კა-გე-ბეს“ ძველი აგენტი, რეალურად უფრო მეტად აწარმოებს ფსიქოლოგიურ ომს, ვიდრე სამხედრო ომს. ასე იყო უკრაინაში, ასეა სხვაგანაც. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რაც ხდება ამ პორტთან დაკავშირებით და ვფიქრობ, ეს არის ის, რაც ევროპელებმა უნდა გააცნობიერონ, რადგან ეს არის შავი ზღვა, რომელიც საფრთხეშია. არავის არ უნდა ჰქონდეს იმის საშუალება, რომ რუსეთი აკონტროლებს შავი ზღვის ამ ნაწილს“.**

## გაზაფხული დაიწყო... პრეზიდენტი ეკლებით დაიყლორტა!!!



## მსოფლიო ლიბერასტების ავადმყოფური ფსიქიკის ტყვეობაშია!

③

## ამერიკა საზოგადოებაზე საკუთარ ზეგავლენას სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციებით ახორციელებს!

④

## მამულის, ენის და სარწმუნოების გაცვლა არაფერზე არ შეიძლება!

## ანასტასია მეტელკინა და ლუკა ბერულავა მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ



**ისტორიაში პირველად,** ტაივანში საქართველოს სახელით მოასპარეზე სპორტულმა წყვილმა ფიგურულ ციგურაობაში იუნიორთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ქართული წყვილი მოკლე პროგრამის შემდეგ მეორე ადგილზე მყოფ წყვილს 9 ქულით უსწრებდა. ორი პროგრამის ჯამში მათ 179.32 ქულა მიიღეს და შედეგად პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე და მესამე ადგილებზე ამერიკული წყვილები გავიდნენ.



# როზინ დანიგანი გაკვირვებულია!

## ანტიამერიკული კამპანიის ახალი ტალღა საქართველოში და ელჩის პასუხი

**საქართველოში მიმდინარე ანტიამერიკული კამპანიის ფარგლებში ამჯერად ყურადღების ცენტრში აშშ-ის შიდა დოკუმენტი მოექცა, რომელსაც, ირკვევა, რომ საქართველოსთან არანაირი კავშირი არა აქვს.**

კერძოდ, გუშინწინ თბილისში გამართულ ერთ-ერთ ღონისძიებაზე **საქართველოში აშშ-ის ელჩ როზინ დანიგანს ტელეკომპანია „იმედის" ჟურნალისტმა შემდეგი კითხვით მიმართა: „მინდა, გკითხოთ, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ენტონი ბლინკენის მოწოდებასთან დაკავშირებით, მან თქვა, რომ უმჯობესია თუ არ გამოვიყოფთ გენდერს და „დედას" და „მამას" არ გამოვიყენებთ. უნდა გაიზიაროს თუ არა ეს საქართველომ? ხომ არ ფიქრობთ, რომ ამას აქვს პროპაგანდის ნიშნები?".**

საპასუხოდ, დიპლომატმა აღნიშნა, რომ გაკვირვებულია, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის შიდა დოკუმენტი, რომელიც გენდერულად სენსიტიური ტერმინის გამოყენებას ეხება, საქართველოში ყურადღების საგანი გახდა.

**„რაც შეეხება სახელმწიფო დეპარტამენტის შიდა მემორანდუმს, უნდა ვთქვა, რომ გაკვირვებული ვარ აქ გამახვილებული ყურადღებით, რადგან ეს არის სახელმწიფო დეპარტამენტის შიდა დოკუმენტი, რათა დაეხმაროს სახელმწიფო დეპარტამენტში მყოფ ადამიანებს, იყვნენ უფრო ინკლუზიურები. ამას საქართველოსთან არანაირი კავშირი არ აქვს. ქართულ ენას სქესის აღმნიშვნელი ნაცვალსახელები არ აქვს, რაც ვფიქრობ, საინტერესოა"**, – განაცხადა **ელჩმა**.

დანიგანმა ისიც აღნიშნა, რომ „ამაყი დედა, ორი შვილის დედა ცოლი და და არის".

**„ვფიქრობ, უნდა ვეცადოთ, გამოვიყენოთ ისეთი ლექსიკა, რომელიც სხვებს პატივისცემით ეპყრობა"**, – დასძინა მან. ქართულისგან განსხვავებით, ინგლისურში სხვა ვითარებაა და თითქმის ყველა ნაცვალსახელი ადამიანის სქესსაც ასახავს. თუმცა ზოგჯერ შესაძლებელია, ნაცვალსახელი არ ემთხვეოდეს გენდერს, რომელსაც ადამიანი თავს მიაკუთვნებს.

### რა დოკუმენტზეა საუბარი?

**ამერიკული მედიის ცნობით, ბლინკენმა სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლებს სთხოვა, „გენდერულად ნეიტრალური ლექსიკა შეძლებისდაგვარად გამოიყენონ, რათა ამით გამოხატონ პატივისცემა და თავიდან აირიდონ გაუგებრობები".**

---



## მატყუარა ევროპარლამენტარო ფოტიგა!

# სააკაშვილი პუტინის პატიმარი არ არის!



**ევროპარლამენტარი ანა ფოტიგა აცხადებს, რომ ევროპარლამენტის რეზოლუციაში მისი მოთხოვნით ორი შესწორება შევიდა. ფოტიგა სოციალურ ქსელში წერს, რომ ერთი ცვლილება ეხება საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებას, ხოლო მეორე საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს.**

დოკუმენტში, რომელსაც ანა ფოტიგა ავრცელებს, აღნიშნულია, რომ ამ შესწორების მიხედვით, „ევროპარლამენტი კიდევ ერთხელ მოუწოდებს, ჰუმანიტარული ნიშნით გათავისუფლდეს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მიმართავს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს, გამოიყენოს მიხეილ სააკაშვილის შეწყალების კონსტიტუციური უფლება. ეს კი, ხელს შეუწყობს ქვეყანაში პოლიტიკური პოლარიზაციის შემცირებას".

ანა ფოტიგას შესწორების თანახმად, დოკუმენტში ასევე **„მკაცრად გმობენ რუსეთის გეგმებს, ოკუპირებულ აფხაზეთში, კონკრეტულად კი ოჩამჩირეში მუდმივი საზღვაო ბაზის აშენებას და მოუწოდებენ საერთაშორისო საზოგადოებას, მხარი დაუჭიროს ყველა ძალისხმევას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უხეში დარღვევის დასასჯელად". „მიხეილ სააკაშვილი პუტინის პირადი მტერი და პატიმარია. ჩვენ არ უნდა მივცეთ მას საშუალება, რომ ციხეში მოკვდეს.**

**აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსეთის მიერაა ოკუპირებული და ისინი საქართველოს უნდა დაუბრუნდეს. დღეს ევროპარლამენტმა საქართველოს მხარდასაჭერად მიიღო ჩემ მიერ შეტანილი ორი ცვლილება"**, – წერს ანა ფოტიგა „ტვიტერში".

**მხარდაჭერისთვის დიდი მადლობა, ქალბატონო ფოტიგა, მაგრამ, რით ვერ გაიგეთ, რომ ამერიკის და ევროპის ძაღლისშვილი მიხეილ სააკაშვილი პუტინის პატიმარი არასოდეს ყოფილა! სააკაშვილმა საქართველოსა და უკრაინაში ჩაიდინა მიუტევებელი დანაშაულები, ბოლოს უკანონოდ შემოიპარა მისგანვე უარყოფილ „სამშობლოში" და სრულიად სამართლიანად დაიჭირეს!**

**ერთხელ და სამუდამოდ გახსოვდეთ: თქვენი „დემოკრატიის შუქურა" და სააკაშვილი მრავალ სისხლის სამართლის საქმეზე მსჯავრდებული კრიმინალია!**

# მძიმე რეზოლუციები და გადაწყვეტილებები საშიშარაა, როდესაც დემოკრატიით ინიღბება

**არაერთი რეზოლუცია გვინახავს, სადაც ძალიან მძიმე რამეები ეწერა, მოგვიანებით კი გამოიკვეთა, თუ როგორ ხდებოდა მათი მიღება,** – ამის შესახებ ჟურნალისტებს დედაქალაქის მერმა, **კახა კალაძემ** ევროპარლამენტის რეზოლუციაში შეტანილ შესწორებებთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე საპასუხოდ განუცხადა.

კახა კალაძეს კითხვა დაუსვეს ევროპარლამენტარ ანა ფოტიგას განცხადებაზე, რომ ევროპარლამენტის რეზოლუციაში მისი მოთხოვნით შევიდა შესწორება, რომელიც მოუწოდებს სალომე ზურაბიშვილს, შეიწყალოს მიხეილ სააკაშვილი.

**„ასეთი რეზოლუციები დამაზიანებელია არსებული ურთიერთობებისთვის. უბრალოდ, შეურაცხმყოფელია ასეთი განცხადებები. ჩვენ არაერთი რეზოლუცია გვინახავს, სადაც ძალიან მძიმე რამეები ეწერა, მოგვიანებით კი გამოიკვეთა, თუ როგორ ხდებოდა მათი მიღება – ვიღაც თანხას იხდის, შემდეგ ეს ინიღბება ლობიზმით და ხდება ასეთი რეზოლუციების მიღება"**, – აღნიშნა **კახა კალაძემ**.

მისივე თქმით, ამ საკითხზე მსჯელობისას ის ეყრდნობა აშშ-ის უცხოელი აგენტების რეგისტრაციის აქტს (FARA).

## კახა კალაძე: ვიღაცების დაშლა-გაერთიანებას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ეს ადამიანები „ნაციონალურ მოძრაობაში" აღმოცენებული ლუზერები არიან



**მათ საერთოდ არაფერი გაუკეთებიათ, არაფერი შეუქმნიათ და ახლა ვინ სად გაერთიანდება, რომელ პლატფორმაზე, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს,** – ამის შესახებ თბილისის მერმა, **კახა კალაძემ** გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა.

ამასთან, სალომე ზურაბიშვილის ბოლოდროინდელ განცხადებებთან დასმულ კითხვაზე საპასუხოდ კახა კალაძემ თა, რომ „ხალხის მხარდაჭერაზე ვისაც ყველაზე ცოტა შეუძლია ისაუბროს, ეს სალომე ზურაბიშვილია. თბილისის მერმა ასევე ყურადღება გაამახვილა ქვეყანაში მოსალოდნელ საფრთხეებზე და განაცხადა, რომ არავის მიეცემა შესაძლებლობა, შემოიტანოს არეულობა და რაიმე ფორმით მოახდინოს ხელისუფლების ცვლილება არაკანონიერი გზით.

**„არჩევნები ჩატარდება დემოკრატიულად, როგორც წინა წლების განმავლობაში და არცერთ ქვეყანას, არც რუსეთს, არც ამერიკას, არც ევროპას, არ მიეცემა შესაძლებლობა, ჩაერიოს ქვეყნის შიდა საქმეებში. არავის მიეცემა შესაძლებლობა, ქვეყანაში შემოიტანოს არეულობა, დაძაბულობა და რაიმე ფორმით მოახდინოს ხელისუფლების ცვლილება არაკანონიერი გზით"**, – განაცხადა **კახა კალაძემ**.

## შალვა პაპუაშვილი: საქართველომ ეკონომიკის თავისუფლების რეიტინგი გაიუმჯობესა!



**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი სოციალურ ქსელში პოსტს აქვეყნებს, სადაც აღნიშნავს, რომ საქართველომ კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერის პოზიცია ევროპაში.**

როგორც პაპუაშვილი წერს, ფონდ „ჰერითიჯის" 2024 წლის ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში საქართველომ კვლავ გაიუმჯობესა შედეგები და „მთავრობის კეთილსინდისიერების" მაჩვენებლით 38-ე ადგილი დაიკავა.

**„ამ რეიტინგით საქართველო პირველად ევროპის საუკეთესო ოცეულშია და უსწრებს ევროკავშირის წევრ 11, ნატოს წევრ 13 და ევროკავშირის კანდიდატ ყველა ქვეყანას. შედარებისთვის, 2012 წელს საქართველო 69-ე ადგილზე იყო და ე.წ. რეპრესიული მმართველობის ზონას მიეკუთვნებოდა. აღნიშნული რეიტინგი ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა: ქრთამის, გამოძალვის, ნეპოტიზმის, მფარველობის და გაფლანგვის სიმცირეს"**, – წერს **შალვა პაპუაშვილი**.

## იანვარში საქართველოს ეკონომიკა 5.8 პროცენტით გაიზარდა

**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2024 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 5.8 პროცენტი შეადგინა.**

საქსტატის ცნობით, 2024 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ისეთმა დარგებმა, როგორიცაა მშენებლობა, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობა, ინფორმაცია და კომუნიკაცია. კლების ტენდენცია კი დაფიქსირდა ვაჭრობის, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობებისა და დამამუშავებელი მრეწველობის სექტორებში.



ნუ, ნუ, ნუ... ვიჩქარებთ!

# მსოფლიო ლიბერასტების ავადმყოფური ფსიქიკის ტყვეობაშია!

როგორც ვიცით, 5 თებერვალს აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, ენტონი ბლინკენმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც თანამშრომლებს მოუწოდა, თავი შეიკავონ ისეთი სიტყვების გამოყენებისგან, როგორიცაა „დედა“ და „მამა“, „ვაჟიშვილი“ და „ქალიშვილი“, „ცოლი“ და „ქმარი“. ბრძანებაში ნათქვამია, რომ „გენდერი“ სოციალური კონსტრუქციაა და ადამიანის გენდერული იდენტობა შეიძლება არ ემთხვეოდეს სქესს, რომელიც მას დაბადებიდან მოსდგამს. შესაბამისად, ბლინკენმა თანამშრომლებს მოუწოდა, გამოიყენონ გენდერულად ნეიტრალური ენა, რათა გამოავლინონ პატივისცემა და თავიდან აიცილონ გაუგებრობები.



## ჟოზეფ ბორელი: დასავლეთი დომინანტურ მდგომარეობას კარგავს, არის ქვეყნები, რომლებიც არ ჩქარობენ, დედას და მამას ერთი სახელი დაუძახონ... ჩვენც ნუ ვიჩქარებთ

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო მდივნის ამ ბრძანებას დროში უცნაურად დაემთხვა დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის ეროვნული სამსახურის განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ ე.წ. ტრანსგენდერი ქალის მიერ გამომუშავებული ე.წ. „დედის რძე“ ისეთივე სასარგებლოა ჩვილებისთვის, როგორიც ქალი დედის რძე. სამსახურმა პირველად გამოიყენა ტერმინი „მკერდით კვება“ „ძუძუთი კვების“ ნაცვლად, რადგან ის უფრო ინკლუზიურად მიიჩნია. სამსახურის ინფორმაციით, ინიციატივა ბრიტანეთის სახელმწიფოს მხრიდან სრულ მხარდაჭერას მიიღებს.

გარდა ამისა, ამ მოვლენებს ასევე დროში დაემთხვა ესპანეთის ქალაქ ტორევიეხაში გამართული ე.წ. „პრაიდი“, სადაც პირველად ისტორიაში, 10 წლამდე ბავშვებს ხელში ლგბტ დროშები დააკავებინეს და ისინი აღლუმზე პრაიდის მონაწილეთათვის დამახასიათებელი გამომწვევი ტანსაცმლით გაატარეს. სამი მოვლენა საგანგაშოა და საყურადღებო. ყველაზე მძიმე ისაა, რომ ფსევდოლიბერალური პროპაგანდის მთავარ წყაროდ უმაღლესი საფეხურის ოფიციალური დასავლური სტრუქტურებია ქცეული. ამ ყველაფერში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დემონსტრაციული ჩართვა უკვე ყველა კითხვის ნიშანს ხსნის იმის შესახებ, თუ საიდან და ვის მიერ იმართება ეს პროცესები.

როგორც „ხალხის ძალის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, დღეს ამერიკაში მშობლებს უკვე აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ ბავშვს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში სქესი არ ჩაუწერონ. თუმცა, თუ ეს ყველაფერი ჯერჯერობით ნებაყოფლობითია, სახელმწიფო მდივნის ბრძანების გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არცთუ შორეულ მომავალში ამერიკულ დოკუმენტებში სქესის მითითება საერთოდ აიკრძალება.

„უკეთეს შემთხვევაში, ადამიანს სქესის არჩევის შესაძლებლობა შეიძლება დარჩეს. პროცესები, რომლებიც ტრადიციისამებრ, ამერიკის შეერთებულ შტატებში იღებს ხოლმე სათავეს და ევროპაში პოვებს გაგრძელებას, აუცილებლად იქნება ატაცებული ქართული ფსევდოლიბერალური უმცირესობის მხრიდან, რომელსაც რადიკალური პოლიტიკური ოპოზიცია და მასთან ასოცირებული ენჯეოები და მედიასაშუალებები განეკუთვნებიან.

ამ ფონზე, ჩვენთვის კიდევ უფრო გასაგები ხდება ის ისტერია, რომელიც ქართველმა ფსევდოლიბერალებმა პრემიერ-მინისტრის მიერ ჩინეთისა და ამერიკის ელჩებთან გამართული შეხვედრების ქრონოლოგიის შესახებ შემოგვთავაზეს. მათი ლოგიკა პრიმიტიულია – პირველი შეხვედრის აბსოლუტური პრივილეგიით ამერიკის ელჩი უნდა სარგებლობდეს.

ის ფაქტი, რომ პრემიერ-მინისტრმა ფსევდოლიბერალების ლოგიკით არ იმოქმედა, ჩვენთვის მისასალმებელია. თუმცა, ვფიქრობთ, რომ საკმარისი ესეც არაა და დისკუსია ამაზე ღრმად უნდა გავშალოთ. კერძოდ, საკუთარ თავს უნდა ვკითხოთ, არის თუ არა ამერიკის შეერთებული შტატები, თავისი არსითა და შინაარსით, საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი? მიგვაჩნია, რომ არსებული რეალობა ამის საპირისპირო დასკვნის გამოტანის საშუალებას უფრო იძლევა“...

პარლამენტის თავმჯდომარის შეფასებით, მოსალოდნელია, რომ საქართველოშიც ცოტა ხანში გამოჩნდებიან აქტივისტები, რომლებიც იტყვიან, რომ ქართვლის დედას აღარ უნდა ერქვას ქართვლის დედა, დედა ენას – დედა ენა. შალვა პაპუაშვილის განცხადებით, მნიშვნელოვანია, არ დავუშვათ, რომ ჩვენს ენობრივ წესებში ჩარევა მოხდეს და თავს მოხვეული იყოს ვითომდა ღირებულებების დროშით.

„ქვეყნების გადასაწყვეტია ენობრივი წესები როგორ და რა ფორმით ექნებათ, რა წესები მოქმედებს, ეს ჩვენი საქმე არ არის, თუმცა ასეთ ტენდენციებზე როცა ვსაუბრობთ, გამოცდილება გვაჩვენებს, რომ შემდეგში ასეთი მიდგომების პროპაგანდა იწყება ხოლმე საქართველოში სხვადასხვა ორგანიზაციის თუ დაფინანსების გამოყენებით. თავისთავად მოსალოდნელია, რომ საქართველოშიც ცოტა ხანში გამოჩნდებიან აქტივისტები, რომლებიც გვეტყვიან, რომ ქართვლის დედას ქართვლის დედა აღარ უნდა ერქვას, დედა ენას აღარ უნდა დაერქვას დედა ენა და დედამიწას – დედამიწა.

თავის დროზე, როცა საზღვარგარეთ თითო-ოროლა ასეთი რამ გვესმოდა, რა თქმა უნდა, ირონიას იწვევდა, თუმცა ვხედავთ, რომ დღეს ეს საკითხი იმდენად სერიოზულია, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრსაც კი მოუწია ხაზგასმა, რომ ქალი არის ქალი და კაცი – კაცი. ეს თავის დროზე ირონია, ხუმრობა გვეგონა, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ასეთი ტენდენციებიც არის. მნიშვნელოვანია, ჩამოვყალიბდეთ და არ დავუშვათ, რომ ჩვენს ენობრივ წესებში ჩარევა მოხდეს და თავს მოხვეული იყოს ვითომდა ღირებულებების დროშით“, – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

არ არის გამორიცხული, რომ საქართველოში მოქმედმა ენჯეო სექტორმა, რომლებიც ამერიკულ გრანტებს იღებენ, შეეცადონ, საქართველოს რეალობაშიც გადმოიტანონ ბლინკენის წინადადება.

ანალიტიკოსი, „ხალხის ძალის“ წევრი დავით ქართველიშვილი აცხადებს, რომ საქართველოს დამონებისა და კოლონიზაციის მცდელობა, ისტორიულად, ძალიან ცუდად მთავრდება მათთვის, ვინც ამას განიზრახავს.

„70 წელია, მიმდინარეობს კაცობრიობის შექმნის ბიბლიური ისტორიის გადაწერისა და ამის ახალი იდეოლოგიით ჩანაცვლების მცდელობა, რომელიც ელემენტარულ ფასეულობებს აღარ ითვალისწინებს – არც სქესს, არც ოჯახურ ურთიერთობებს, არც შვილთან დამოკიდებულებასა და ა.შ. როცა აშშ-ის პრეზიდენტი აცხადებს, რომ ტრანსგენდერები წარმოადგენენ ამერიკის სულიერების სიმბოლოს;

როდესაც სახელმწიფო მდივანი სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლებს ბრძანებას გადასცემს, რომ თავი შეიკავონ დედის, მამის, ქალიშვილის, ვაჟიშვილის ხსენებისგან და ის ახალმოგონილი, გენდერული ტერმინებით ჩანაცვლდეს, რამდენად ჯდება ეს იმ ფასეულობით ღირებულებებთან, რომელიც საქართველოში გაგვაჩნია და ვიცავთ, რომელსაც არც ერთ სტრატეგიულ პარტნიორობაში არ ვახურდავებთ?“, – აცხადებს დავით ქართველიშვილი.

ბლინკენის ამ სკანდალური და ხმაურიანი ბრძანების გამოცემის შემდეგ, აშშ-ის წარმომადგენლობითი პალატის წევრმა კეტი პორტერიმ თქვა, რომ პედოფილია არ არის დანაშაული. ეს არის პიროვნების იდენტიფიკაციის ტიპი.

ანალიტიკოსის ედიშერ გვენეტაძის შეფასებით, ის უზარმაზარი იმპერია, რომელსაც აშშ ჰქვია ინგრევა და თუ ისტორიულ პარალელებს გავავლებთ, სწორედ რელიგიასთან დაპირისპირებამ და ურელიგიობამ დაანგრია ყველა უზარმაზარი იმპერია დაწყებული რომის იმპერიით და დამთავრებული ისეთი იმპერიით, როგორიც იყო საბჭოთა კავშირის უზარმაზარი მოდერნიზებული იმპერია.

„საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ფულს და განცხომით ცხოვრებას მმართველი ელიტა გამოყავს წყობიდან და აკეთებენ ისეთ რაიმეს, რომელიც ყოველნაირი რელიგიის წინააღმდეგ არის მიმართული. წმინდა წერილში წერია, რომ ღვთის წინააღმდეგ ვინც კი მახვილს აღმართავს, მახვილითვე განიგმირება. აი, ეს ემართება აშშ-ს, მის მმართველ ელიტას, რომლის ბნელი და მავნე ზრახვები გაახმოვანა ბლინკენმა.

თქვენ წარმოიდგინეთ, დედისათვის და მამისათვის ყველაზე უძვირფასესი ამ ქვეყანაზე არის შვილის გაჩენა და შვილს უკრძალავს, დედას დედა დაუძახოს და მამას – მამა. მშობლებს კი ეკრძალებათ შვილებს დაუძახონ ქალიშვილო, ვაჟიშვილო, ეს სადმე წერია? ვინმე ფიქრობს, რომ ამის მთქმელი შეიძლება საღ ჭკუაზე იყოს? და ვინც მას მხარს უჭერს შეიძლება საღ ჭკუაზე იყოს?!“, – აცხადებს ანალიტიკოსი.



ფსიქოლოგის და პოლიტოლოგის, რამაზ საყვარელიძის განცხადებით, აუცილებელი არ არის რასაც ბლინკენი დაიძახებს, ყველაფერი შევასრულოთ. ფსიქოლოგი იხსენებს, როგორ მოხვდა ფსიქოლოგიის კათედრაზე ახალგაზრდა ბიჭი, რომელსაც თან ჰქონდა ჰოლანდიის საელჩოს მიერ დაფინანსებული წიგნი „ლგბტქ+-ის ფსიქოლოგია“.

„ბორელმა თქვა ყველაზე შესანიშნავად: „დასავლეთი დომინატურ მდგომარეობას ნელ-ნელა კარგავს“. დაკარგავს და უნდა ჩავყვეთ დასავლეთს?! არის ქვეყნები, იგივე ინდოეთი, იაპონია, ჩინეთი, რომლებიც მაინცდამაინც არ ჩქარობენ, რომ დედას და მამას ერთი სახელი დაუძახონ და ჩვენც ნუ ვიჩქარებთ. მახსოვს, ერთ-ერთი პირველი 17 მაისი რომ მოხდა, იმ დღეებში ძალიან აქტუალური თემა იყო ლგბტქ+ და ყველა ამ თემაზე საუბრობდა.

ვზივარ ფსიქოლოგიის კათედრაზე, ისმის კაკუნი და შემოვიდა ახალგზრდა ბიჭი, რომელსაც კისერზე გამოსახული ჰქონდა ცისარტყელა. გასაგები გახდა ვისთან მქონდა საქმე. ბიჭმა რაღაცა კითხვარი ჩამიტარა ლგბტქ+-ის თემაზე, ჩემი პასუხებით მიხვდა, რომ არ ვარ მათი მომხრე და მითხრა, რომ თქვენ ბევრი რამე არ იცით ლგბტს-ს შესახებო და დამიტოვა წიგნი, რომელიც არის ქართულად გამოცემული, საკმაოდ სქელი, კარგი ხარისხით შესრულებული „ლგბტქ+-ის ფსიქოლოგია“. დამაინტერესა ვისი დაფინანსებული იყო ეს წიგნი, გადავშალე პირველი ყდა და ეს იყო ჰოლანდიის საელჩო.

ფულის გამო ქართველები ახლობლებს ყიდდნენ სტამბულის ბაზარზე და თუკი ასეთი დაფინანსება იქნება, რა გასაკვირია ლგბტქ+-ზე ლაპარაკი დაიწყონ და გამოაცხადონ, რომ ეს დემოკრატიისთვის აუცილებელი პირობა არისო, ამიტომ ნუ გაგვიკვირდება. არის ეს პრობლემა, რა უნდათ იმ ქვეყნებს, რომლებიც ცდილობენ დაამკვიდრონ ცხოვრების ეს წესი. დროთა განმავლობაში ეს პოზიციაც მკაფიოდ ჩამოყალიბდება, მით უმეტეს, რომ საქართველოში ეს თემა არაა მოწონებული“, – განაცხადა რამაზ საყვარელიძემ.

თამთა ქარჩავა










საბავშვო წიგნის მთავარი პერსონაჟები გეი ფერმერი და პრინცი არიან



ზურაბ ქადაგიძე:

# ამერიკა საზოგადოებაზე საკუთარ ზეგავლენას სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციებით ახორციელებს!

**გარე სახელმწიფოების მხრიდან ქართული პოლიტიკის დაფინანსებამ იმდენად უხეში ფორმები მიიღო, რომ ისინი დაფინანსების, პრაქტიკულად, პირდაპირ ფორმებსაც კი აღარ ერიდებიან და ამის მაგალითები ქართულ რეალობაში უამრავია. საქართველოში მოქმედი რადიკალური ოპოზიაცია და მასთან ასოცირებული არასამთავრობო ორგანიზაციები დასავლეთიდან ფინანსდებიან.**

**მას შემდეგ, რაც საქართველო არ დაემორჩილა დასავლეთის და აშშ-ის მოთხოვნას რუსეთ-უკრაინის ომის პარალელურად მეორე ფრონტის გახსნას, აღმოჩნდა, რომ სტრატეგიული პარტნიორობის უკან მხოლოდ დიდი ქვეყნების ინტერესებია. ამ შემთხვევაში სამიზნე ისევ სასამართლო სისტემა გახდა, როდესაც უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები ითხოვენ „ვეტინგის“ სისტემის ამოქმედებას.**

პარლამენტის თავმჯდომარის **შალვა პაპუაშვილის** განცხადებით, „ენჯეოების“ დონორები უნდა ჩამოყალიბდნენ, ამ ქვეყნიდან ჩვენ საერთოდ თუ უნდა წავიდეთ და ქვეყანა თავად მართონ. პაპუაშვილს მიაჩნია, რომ სასამართლოს დაკომპლექტებასთან უცხო ქვეყანას არაფერი ესაქმება და ამბობს, რომ დონორები მათ მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების პირით ამბობენ, რომ მათ უნდა დანიშნონ მოსამართლეები საქართველოში, რაც მისივე შეფასებით, სუვერენიტეტის პატივისცემის ყველანაირ ზღვარს ნელ-ნელა სცდება.

**„მგონი ოპოზიცია და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია ადასტურებს თუ რა ცუდი გავლენა შეიძლება ჰქონდეს ზედმეტ დამოკიდებულებას უცხოურ ფულზე. დღეს ოპოზიცია, ფაქტობრივად, გვთავაზობს სუვერენიტეტის დათმობას მაშინ, როცა ამბობს, რომ უცხოელებმა უნდა დანიშნონ საქართველოში მოსამართლეები. ეს ეწინააღმდეგება ჩვენს 30-წლიან დამოუკიდებლობის ისტორიას, ჩვენს ისტორიულ მისწრაფებებს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისთვის.**

**ეს ნიშნავს, რომ მათთვის სახელმწიფო საქართველო არ არსებობს. უნდათ ვიყოთ ერთი ჭანჭიკი სხვებისთვის, რაც ნელ-ნელა სცდება ყველანაირ ზღვარს სუვერენიტეტის პატივისცემისა, როცა დონორები მათ მიერ დაფინანსებული „ენჯეოების“ პირით გვეუბნებიან, რომ მათ უნდა დანიშნონ მოსამართლეები საქართველოში. ყველას მივუთითებ ვენის კონვენციაზე და ყველამ პატივი უნდა სცეს შიდა პოლიტიკას და სუვერენიტეტს“,** – აღნიშნა **შალვა პაპუაშვილმა.**

რაც შეეხება FARA-ს კანონის მიღების აუცილებლობას და დაუბრუნდება თუ არა საქართველოს პარლამენტი აღნიშნული კანონის მიღებას, „ხალხის ძალის“ წევრი, ანალიტიკოსი **ზურაბ ქადაგიძე** აცხადებს, რომ პირველივე კრიტიკული შენიშვნა ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან წამოვიდა და შესაბამისად, სწორედ აშშ ხედავს საფრთხეს იმისა, რომ არ შესუსტდეს მისი გავლენები.



**„გავლენებზე როდესაც ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დღევანდელი დომინაციის მცდელობა, რასაც ძლიერი ქვეყნები ახორციელებენ სუსტზე, გარდა პირდაპირი ინტერვენციისა, არის ჰიბრიდული ინტერვენცია საზოგადოებაზე, სამოქალაქო აზრის ფორმირებაზე და ა.შ. ჰიბრიდული ბრძოლის ყველაზე მძლავრი იარაღია ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები და ფონდები, სადაც შესაძლებელია კოლოსალური თანხების მობილიზება და შესაბამისი ინტერესებით გახარჯვა. ამიტომაცაა, რომ ნებისმიერი სახის გამჭვირვალობასა და ღიაობას ეწინააღმდეგებიან ეს ორგანიზაციები და თუ მათი წინააღმდეგობა უშედეგოა, მაშინ თვითონ შტატების ადმინისტრაცია ერთვება პროცესში და ყველა საშუალებას იყენებს პროცესის გასაშავებლად“.**

მიუხედავად იმისა, რომ ამ მოწვევის პარლამენტში ვერ მოხერხდა ამ კანონის გატანა, აუცილებლად უნდა მომზადდეს პროექტი, მათ შორის საზოგადოებრივი აზრი და შემდეგი მოწვევის პარლამენტში მოხდეს საზოგადოებრივი აზრის ასახვა ასეთი კანონპროექტით. რაც შეეხება ახალი საპროტესტო ტალღის მოლოდინს, ქადაგიძე ფიქრობს, რომ ნაკლებად შესაძლებელია, რადგან მარტის აქციების მარგინალიზაცია მაშინ მოხდა, როდესაც ევროკავშირმაც გააჟღერა წინადადება ასეთი კანონის ამოქმედებაზე და არაერთმა დასავლურმა ქვეყანამ მიიღო.

**„შესაბამისად, ის გულწრფელი აქტივისტებიც კი, რომლებიც მარტის აქციებში მონაწილეობდნენ, მიხვდნენ თუ რა მასშტაბის სპეკულაციაში მონაწილეობდნენ და, რომ პროცესი აბსოლუტურად მართული იყო. საქართველოში შემოედინება კოლოსალური მასშტაბის უკონტროლო თანხა და შავი ფული, რომელთა შესახებაც საზოგადოებას არა აქვს წარმოდგენა. ამიტომაც არის საჭირო კანონი გამჭვირვალობის შესახებ.**

**დღეს თუ ხვალ, ასეთი კანონის არსებობა ეგზისტენციალური საკითხია, რადგან აუცილებელია საზოგადოებას ჰქონდეს დაზღვევის მექანიზმი მავნე გავლენებისგან. აშშ საკუთარ გავლენებს საზოგადოებაზე სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციებით ახორციელებს. შესაბამისად დაინტერესებულია, რომ ამ ორგანიზაციათა რეალური მიზნები და ფინანსები გაუმჭვირვალე იყოს.**

**შტატების გარდა საქართველოში გავლენის მოპოვებით დაინტერესებულია რუსეთი, რომელიც ანალოგიურად ჰიბრიდულ მიდგომას ახორციელებს და ცდილობს სხვადასხვა ფონდებითა და ორგანიზაციებით შემოაღწიოს ქართულ სივრცეში. ამიტომაც, ქართული საზოგადოება ინტუიციის იმედად კი არ უნდა იყოს, არამედ კანონის საშუალებით ჰქონდეს დაზღვევა და ფლობდეს ინფორმაციას, ესა თუ ის ორგანიზაცია და ფონდი რა მიზნობრიობით ხარჯავს ფულს საქართველოში“,** – აღნიშნა **ზურაბ ქადაგიძემ.**

**თამთა ქარჩავა**

## პარლამენტის ყოფილი დეპუტატი ავსტრალიაში უცხო ქვეყნის ჯაშუში გახდა

**ავსტრალიაში პარლამენტის ყოფილი დეპუტატი უცხო ქვეყნის ჯაშუში გახდა,** – ამის შესახებ ავსტრალიის უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურის გენერალურმა დირექტორმა **მაიკ ბერჯესმა** განაცხადა.

ყოფილი დეპუტატის სახელი და ქვეყანა, რომლის ჯაშუშურ ქსელსაც ის შეუერთდა, არ სახელდება. თუმცა ბერჯესი ამბობს, რომ ამ ქვეყნის „აგრესიული და გამოცდილი“ საგარეო დაზვერვისთვის ავსტრალია „პრიორიტეტულ სამიზნეს“ წარმოადგენს. მაიკ ბერჯესის თქმით, დეპუტატმა უცხო ქვეყნის დაზვერვას ავსტრალიის მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ოჯახთან შუამავლობაც შესთავაზა. ავსტრალიური დაზვერვის ინფორმაციით, ექსდეპუტატის ქმედებები რამდენიმე წლის წინ გამოააშკარავდა.




**„ჯაშუშები თავს ასაღებენ კონსულტანტებად, აკადემიკოსებად, მკვლევრებად, მაგრამ ყოფილი დეპუტატი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა, რომელიც წარმატებით გადაიბირა უცხოურმა დაზვერვამ. ამ ადამიანმა უცხოური რეჟიმის ინტერესების სასარგებლოდ საკუთარი ქვეყანა, პარტია და ყოფილი კოლეგები გაყიდა“,** – აღნიშნა მაიკ ბერჯესმა.

## ჩეხმა პარლამენტარებმა ერთნაირსქესიანთა ქორწინება უარყვეს...

**ჩეხეთის პარლამენტის ქვედა პალატამ მხარი დაუჭირა კანონპროექტს, რომელიც ჰეტეროსექსუალი და ჰომოსექსუალი წყვილების უფლებების უმეტეს ნაწილში გათანაბრებას ითვალისწინებს, თუმცა მხარი არ დაუჭირა ერთნაირსქესიანთა ქორწინების ლეგალიზებას.**

კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, ერთი და იმავე სქესის ადამიანებს ქორწინებაში უნდა ჰქონოდათ ისეთივე უფლებები, როგორიც აქვთ ქორწინებაში მყოფ ქალსა და მამაკაცს: საერთო ქონების ფლობა, ქვრივის უფლება პენსიის მიღებაზე, შვილებთან დაკავშირებით უფლებები და მოვალეობები და სხვ. კანონპროექტის მიღებით ჩეხეთში პრაქტიკულად აღარ იარსებებდა სამოქალაქო პარტნიორობა, რომელსაც 2006 წლიდან ერთნაირსქესიანი წყვილები აფორმებდნენ.

თუმცა კონსერვატორი დეპუტატების პროტესტის გამო, პარლამენტის ქვედა პალატის მიერ მიღებული კანონპროექტი არ ითვალისწინებს ერთნაირსქესიანთა ქორწინების ლეგალიზებას, არამედ ხაზს უსვამს პარტნიორობის უკვე არსებულ მექანიზმს. კანონპროექტის თანახმად, ერთნაირსქესიანთა წყვილებს შვილად აყვანის უფლება არ ექნებათ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ერთ-ერთი პარტნიორი ბავშვის ბიოლოგიური მშობელია.

ახლა კანონპროექტი განსახილველად პარლამენტის ზედა პალატაში გადაინაცვლებს, რის შემდეგაც მას პრეზიდენტმა პეტრ პაველმა უნდა მოაწეროს ხელი. აღსანიშნავია, რომ პეტრ პაველმა მანამდე მხარი დაუჭირა ერთნაირსქესიანთა ქორწინების ლეგალიზებას.




## მამულის, ენის და სარწმუნოების გაცვლა არაფერზე არ შეიძლება!

**საქართველოში ჰოლანდიის, ნორვეგიისა და შვეიცარიის საელჩოების, ასევე გაეროს მიერ დაფინანსებული LGBT-ის მიერ არის დაფინანსებული 6 მარტს დაგეგმილი წიგნის პრეზენტაცია სახელწოდებით „ცისფერი – ქვიარ ამბავი ქართულ ხელოვნებაში“. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ჰოლანდიის საელჩოს დაფინანსებით ქართულ ენაზე იბეჭდება LGBT-ს პროპაგანდის შემცველი წიგნები, რომელიც შემდეგ რიგდება სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. „LGBT-ს ფსიქოლოგია“ – ეს არის წიგნი, რომელიც ასევე დაფინანსებულია ჰოლანდიის საელჩოს მიერ.**




იხ. 8 გვ.

№25. პარასკევი, 1 მარტი, 2024 წელი.

დიმიტრი გულიას ძეგლი სოხუმში



# „მთავარი აფხაზი“, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნა

## დიმიტრი გულია – 150

„მთავარი აფხაზი“ – ასე უწოდებენ აფხაზები აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელს დიმიტრი გულიას. გულია აფხაზურადაც წერდა და ქართულიდანაც თარგმნიდა. 21 თებერვალს მისი დაბადებიდან 150 წლისთავი სოხუმშიც აღნიშნეს და თბილისშიც.

აფხაზი მწერლისა და მთარგმნელის შესახებ „რადიო თავისუფლება“ აფხაზოლოგს, სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორს თეიმურაზ გვანცელაძეს ესაუბრა.



**– დიმიტრი გულია არის ადამიანი, რომელთანაც აფხაზები საკუთარ იდენტობას აიგივებენ, რატომ, რა ჰქონდა მას უნიკალური?**

– დიმიტრი გულია აფხაზი ხალხის სიმბოლოც კი არის. მათი წარმოდგენით, ეს არის კაცი, რომელმაც იმდენი და ისეთი საქმეები აკეთა, რომელსაც ერთი ადამიანი ვერ აუვიდოდა. მართლაც ასე იყო.

მას შემდეგ, რაც სრულწლოვანი გახდა, მის გარეშე ერთ მნიშვნელოვან საქმესაც კი არ ჩაუვლია, მაგალითად, მე-20 საუკუნის დასაწყისში აფხაზეთში შეიქმნა აფხაზთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება (ქართულის ანალოგიურად). დიმიტრი გულია ამ საზოგადოების აქტიური წევრი იყო.

მონაწილეობდა აფხაზურად აფხაზური ფოლკლორული მასალების შეგროვებაში, რომელსაც მერე სანკტ-პეტერბურგში ნიკო მარს უგზავნიდნენ. დააარსა აფხაზური გაზეთი „აფსნი“, სადაც რედაქტორიც თავად იყო, ჟურნალისტიც, კორექტორიც და ნომრების გამოსაშვებ ფულსაც თავად შოულობდა. ეს გაზეთი თბილისის სტამბაში იბეჭდებოდა.

მთავარი საქმე მაინც მწერლობა იყო. გული წყდებოდა, რომ მთელი თავისი დრო ვერ მიუძღვნა.

**– მწერლობაშიც დიმიტრი გულია პროზასაც წერს, პოეზიასაც, რუსულადაც, აფხაზურადაც...**

– კი, ლექსებს წერს, პროზას, პიესებს, პუბლიცისტურ წერილებს. აფხაზებისთვის დიმიტრი გულია ეროვნული იდენტობის სიმბოლოა. მას უფრთხილდებიან, თუმცა, მიაწერენ იმასაც, რაც არ ყოფილა. დიმიტრი გულია არ ყოფილა ნაციონალისტი ცუდი გაგებით. არასდროს დაუწერია, ქართველები აფხაზების მტრები არიანო. არც კი მიუნიშნებია ამაზე. მისთვის ქართველებთან დამოკიდებულება სისხლხორცეულად მნიშვნელოვანი იყო. უამრავი რამ გააკეთა, რომ აფხაზებისთვის ქართული ლიტერატურა გაეცნო.

**– თარგმნა რუსთაველი, წერეთელი, ჭავჭავაძე... ხომ ასეა?**

– ჯერ მარტო „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა რად ღირს, თან პოეტური თარგმანია. სამი წელი მთელი მონდომებით თარგმნიდა, ყველა სხვა საქმე გადადო. მისი თარგმნილი „გამზრდელიც“ უნიკალური ნაშრომია. ეს პოემა დიდხანს იყო აფხაზური სკოლის პროგრამაში. საზოგადოებამაც ძალიან აიტაცა. აფხაზები რომ გაიგებდნენ, ქართველი ვიყავი, ციტატები მოჰყავდათ ხოლმე.

ის ფაქტი, რომ 1924 წელს, ივანე ჯავახიშვილმა ის უნივერსიტეტში აფხაზური ენის მასწავლებლად მოიწვია, ძალიან ბევრს ნიშნავს. მას შემდეგ უნივერსიტეტში აფხაზური ენა უწყვეტად ისწავლება.

**– აფხაზი მწერლების ნაწარმოებებში ნაკლებად ჩანს დანარჩენი საქართველო, დიმიტრი გულიასთანაც ასეა?**

– ნაწილობრივ ასეა. თავის პირველ რომანში „კამაჭიჭი“ ჰყავს ქართველი პერსონაჟი, მასწავლებელი. სხვა ნაწარმოებებში ბევრი არაა. თუმცა, მისი დამოკიდებულება ჩანს ქართველ მეცნიერებთან მიმოწერაში: აკაკი შანიძესთან, ივანე ჯავახიშვილთან, ვარლამ თოფურიასთან, სიმონ ჯანაშიასთან... მისი თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ სიმონ ჯანაშიამ გაარედაქტირა. ის აფხაზურ სოფელში იზრდებოდა და მისთვის აფხაზური დედაენა იყო.

**– თუ სწორად ვამბობ, სიმონ ჯანაშიას მამამ ნიკო ჯანაშიამ დიმიტრი გულიას მოვლაც კი ითავა, როცა ის ტიფით იყო ავად.**

– დიმიტრი გულია გორში, ამიერკავკასიის საოსტატო სემინარიაში სწავლობდა. იქვე სწავლობდა მისი ნაცნობი და თანასოფლელი ნიკო ჯანაშია. მალე დიმიტრის ტიფი დაემართა და სასწავლებლის იზოლატორში მოათავსეს. ნიკომ ითხოვა, ნება მომეცით, მოვუაროო. შეიძლებოდა, გადადებოდა და დაღუპულიყო კიდეც. საბედნიეროდ, ორივე გადარჩა.

მისი ეს თავდადება დიმიტრი გულიას სიცოცხლის ბოლომდე ახსოვდა. განსაკუთრებით უყვარდა ნიკოს შვილი სიმონი, მოფერებით სიმონიკას ეძახდა ხოლმე.

**– საბჭოთა რეჟიმთან რა დამოკიდებულება ჰქონდა? სტალინზეც აქვს ლექსები დაწერილი?!**

– არა მხოლოდ ლექსები, პოემაც აქვს სტალინზე, ასევე პარტიაზე...

**– ეს გულწრფელი დამოკიდებულება იყო თუ რეჟიმისთვის გადახდილი ხარკი?**

– ხარკი, რა თქმა უნდა. არა მგონია, დიმიტრი გულია თავგადაკლული კომუნისტი ყოფილიყო.

სულ ახლახან ინტერნეტში დიმიტრი გულიას ორი წერილი ვნახე, რომლებიც 1956 წელს ვოროშილოვის სახელზე გაიგზავნა. ვოროშილოვი მაშინ სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე იყო.

წერილებში გამოთქმულია პრეტენზიები, აფხაზებს სკოლები დაუხურეს, ქალაქების სახელები გადაუკეთესო... ეს ტყუილია. აფხაზური სკოლა არ დახურულა. რაც არ არსებობდა, როგორ დაიხურებოდა?!

მაშინ აფხაზური სკოლები კი არ დაიხურა, რუსული ენა ქართულმა ჩაანაცვლა (აფხაზური რა საგნებშიც იყო, ისევ დარჩა). ეს საქართველოს ინიციატივით არ მომხდარა, საბჭოთა კავშირის მასშტაბით გატარდა ასეთი რეფორმა, მაგალითად, აზერბაიჯანშიც უმცირესობებთან მიმართებით იგივე გააკეთეს – იქ აზერბაიჯანულმა ჩაანაცვლა რუსული. სტალინის სიკვდილის შემდეგ, კანონი ისევ შეიცვალა და ისევ რუსული დააბრუნეს ყველგან.

ვოროშილოვისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში წერია, რომ თურმე ლავრენტი ბერიამ რუსულ ენაზე წერის წესში „სოხუმისა“ და „ტყვარჩელის“ სახელწოდებების ქართული ვარიანტი დააკანონა – „ი“ დაბოლოებიანი, მანამდე „სუხუმ“ და „ტყვარჩალ“ იწერებოდაო. მაგრამ ეს ორივე სახელი ქართულია, „სოხუმი“ მოდის „ცხუმუდან“, „ტყვარჩელი/ტყვარჩელია“ კი მეგრულად ფურისულას ნიშნავს.

**– სხვათა შორის, საქართველოში რამდენიმე სახეობის ფურისულა იზრდება, მათგან ნაწილი აფხაზეთში.**

– ეს ყველაფერი მოხდა ჯერ კიდევ 1936 წელს და აქ ბერია არაფერ შუაში არ იყო. მოსკოვმა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკას მიმართა, რომ მათ თავიანთ ტერიტორიაზე არსებული გეოგრაფიული სახელწოდებების რუსული მართლწერის ფორმები წარმოედგინათ. თბილისში ამ პროცესს სიმონ ჯანაშია ხელმძღვანელობდა.

კომისია შეიქმნა და ეს ფორმები განსაზღვრეს. მანამდე „თბილისიც“ არ იწერებოდა სათანადოდ, რუსულად „ტიფლისს“ წერდნენ; „ბათუმის“ ნაცვლად „ბათუმ“ იყო. ეს ყველაფერი გასწორდა, მათ შორის გასწორდა სოხუმის ქართული სახელწოდებაც. სოხუმის აფხაზური სახელწოდებისთვის – „აყვა“ (აფხაზურად: დამყაყებული წყალი, ჭაობი) – ხელი არავის უხლია.

**– დიმიტრი გულიას ეს ხომ ეცოდინებოდა?**

– ისიც მეეჭვება, რომ მართლაც მისი დაწერილია ეს წერილები. ამ დროს 82 წლის მოხუცი იყო. მას 1937 წელი ჰქონდა გამოვლილი, შესაძლოა, სულაც შიშის გამო მოაწერა ხელი ამ წერილებს.



დიმიტრი გულიას სახლ-მუზეუმი სოხუმში

**თეა თოფურია,**
**„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი.**

# ენერგეტიკა და „აფხაზი ხალხი“

**არასოდეს არავინ და არაფერი ეკუთვნის ხალხს!**

**აფხაზეთში კვლავ ელექტროენერგიის „მარაოსებრი“ გათიშვებია. პრობლემა, რომელიც ყოველ ზამთარს მეორდება, უკვე ტრადიციადაა ქცეული. გააფთრებული დებატებისა და აფხაზური ენერგოკრიზისის დასაძლევად შექმნილი კონცეფციების მთელი ბიბლიოთეკის არსებობის მიუხედავად, საკითხი ადგილიდან არ იძვრის.**

**აფხაზებს პატარა საიდუმლოს გავუმხელ: ყველაფერი ზუსტად ასევე იქნება მომავალ ზამთარსაც, იმის შემდგომ წელსაც და მრავალჟამიერ, თუ ენერგეტიკისადმი აფხაზი საზოგადოების მიდგომა რადიკალურად არ გადაიხედება.**

**მთავარი შეცდომა იმ ძირითად პრინციპშია, რომელსაც აფხაზეთში ყველა პრიორიტეტულად მიიჩნევს – „ენერგოსისტემა აფხაზ ხალხს უნდა ეკუთვნოდესო». არადა, ეს აპრიორი ვერშესრულებადი პირობაა, რადგან როგორც სსრკ-ის მრავალწლიანმა გამოცდილებამ აჩვენა, არასოდეს არავინ და არაფერი „ეკუთვნის ხალხს“. ყოველთვის ყველაფერს კონკრეტული პატრონი გააჩნია, კერძო კომპანიის შემთხვევაში – მესაკუთრე ან აქციონერი, სახელმწიფო აქტივის შემთხვევაში – სახელმწიფო მოხელე, რომელიც ცდილობს, ბოლომდე გახრას ყველაფერი, სანამ მის ადგილზე ვინმე სხვას არ დანიშნავენ.**

**არავითარ აფხაზ ხალხს არაფერი ეკუთვნის და ვერც მიეკუთვნება... უმარტივესი აზრია თითქოს, მაგრამ აფხაზური საზოგადოება მის გაცნობიერებამდე ჯერ ვერ გაიზარდა.**

ენერგეტიკისადმი აფხაზების დამოკიდებულება ემყარება კიდევ რამდენიმე მცდარ წარმოდგენას, რომელიც ენერგოსისტემის აღდგენას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის.

კერძოდ, პრინციპიდან „ენერგეტიკა ხალხს უნდა ეკუთვნოდეს“ გამომდინარეობს „აქსიომა“ №2 – „არავითარი კერძო ინვესტორი!“: აფხაზების ხედვით, ენერგოობიექტების კერძო პირებზე გასხვისება აბსოლუტურად დაუშვებელია და თუ გამონაკლისი იქნება დაშვებული, მას სხვადასხვა პირობები უნდა ახლდეს.

იხ. 6 გვ.

# უცხოელი გიდების შემოსევა

## სავალალო, გამაღიზიანებელი მდგომარეობა



**ქართველ და უცხოელ გიდებს შორის დაპირისპირება მწვავდება!**

**ტურისტული ბიზნესის წარმომადგენლები ადგილობრივ ბაზარზე უცხოელი გიდების დომინანტობას აპროტესტებენ. ქართველი გიდები კოლეგებს სხვა ქვეყნებიდან ბაზრის „ოკუპაციაში“ და საქართველოს ისტორიის დამახინჯებულად გადმოცემაში სდებენ ბრალს. გიდები სახელმწიფოსგან სამართლიანი და კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფას ითხოვენ.**

გიდების ასოციაცია „საგას“ წარმომადგენელი და ტურიზმის პროფკავშირების თანადამფუძნებელი ქეთი ბურნაძე ამბობს, რომ არსებობს რიგი ქვეყნები, სადაც უცხოელი გიდების საქმიანობა შეზღუდულია. მათი მოთხოვნაა, რომ საქართველომაც ეს გზა აირჩიოს და გარკვეულწილად შეუზღუდოს საქმიანობა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. თუ ეს მიმართულება ტურიზმის შესახებ ახალ კანონში კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე არ მოხდება, ადგილობრივი ბიზნესი მნიშვნელოვნად დაზარალდება.

**„თუ არ იქნა დამატებითი კანონქვემდებარე აქტებით წესების გაკეთილშობილება, სავალალო მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. რომ ამბობენ, უცხო ქვეყნის ტურიზმის კანონების გათვალისწინება მოხდა, არც ერთ ევროპულ ქვეყანაში არ ხდება მსგავსი რამ, პრიორიტეტი ენიჭება ადგილობრივ მოქალაქეს. მოთხოვნა გვაქვს, გათვალისწინებულ იქნეს ქართული ენის ცოდნა აუცილებლად, პრიორიტეტული იყოს საქართველოს მოქალაქე.**

**ძალიან ბევრ ქვეყანას აქვს უცხო ქვეყნის მოქალაქეების შეზღუდვა ტურისტულ ბიზნესში. ეს არის საკმაოდ პრესტიჟული საქმე და აუცილებლად რეგულაციების და მონიტორინგის ქვეშ უნდა მოექცეს. ნუ მივცემთ სხვა ქვეყნის მოქალაქეებს იმის უფლებას, რასაც ჩვენ არ გვაძლევენ. ახლახან ჩეხეთის დელეგაცია გვყავდა საერთაშორისო გიდების ასოციაციაში, რომლებმაც გვითხრეს, რომ 3000 ევროა ჯარიმა, იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეზე, ვინც ტურს ჩაატარებს. მეორე ჯერზე კი – დეპორტი ქვეყნიდან. საკმაოდ კარგი პრაქტიკაა, ნუ გამოვიგონებთ ახალ ველოსიპედს“,** – ამბობს **ქეთი ბურნაძე.**

უცხოელი გიდები არსად რეგისტრირებულები და აღრიცხული არ არიან. უცხო ქვეყნის მოქალაქე გიდებს არც სახელმწიფო ბიუჯეტთან აქვთ ანგარიშსწორება.

**„ეს ახალი პრობლემა არ არის, ამ პრობლემის წინაშე მძაფრად დავდექით პანდემიის წინა პერიოდში. ძალიან გამოიკვეთნენ ე.წ. გიდები, რომლებიც ამ ბაზარს ნელ-ნელა იპყრობენ და ჩვენ ამ ბაზრიდან განდევნილები ვართ. ესენი არიან ნებისმიერი ქვეყნის წარმომადგენლები – ირანი, თურქეთი, პაკისტანი, ინდოელი სტუდენტები, რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი, ბოლო ხანებში ძალიან აქტიურად გვხვდებიან ჩეხი, პოლონელი „გიდები“.**

**გაღიზიანების ფაქტორს იწვევს არა მარტო ის, რომ ჩვენს სამუშაო არეალს და ჩვენგან შექმნილ ნიშას ვკარგავთ, მახინჯდება კულტურა, ისტორია, ტრადიციები, ამ ყველაფრის ახსნა ძალიან ცუდად ხდება. ძალიან ხშირად ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ აგდებულადაც მოგვიხსენიებენ ხშირ შემთხვევაში.**

**გარდა იმისა, რომ ისტორიულად, ეთნიკურად, ტრადიციულად ვზარალდებით, ასევე, იმით, რომ სამსახურებს ვკარგავთ. საქართველოს ბიუჯეტის გვერდის ავლით ხდება გადინება ძალიან დიდი თანხების, იმიტომ, რომ ისინი არსად რეგისტრირებულები არ არიან! მოვალეობა და ანგარიშსწორება ბიუჯეტთან არ აქვთ, რასაც ჩვენ ხშირ შემთხვევაში, პირნათლად ვასრულებთ.**

**ისინი ძალიან კარგად ფლობენ ინტერნეტ სივრცეებს, ამ გზით მარტივად და იოლად ეძებენ მომხმარებლებს. იაფად და იოლად ჰყიდიან ტურებს. ჩვენ „დემპინგის“ ქვეშაც მოვექეცით“,** – განაცხადა **ქეთი ბურნაძემ.**

საქართველოში საკმაოდ ბევრია ისეთი გიდი, ვისაც არანაირი სერტიფიკატი არ გააჩნია. უკვე 10 წელია, რაც **გიორგი ბურბენიძე** უცხოეთიდან ჩამოსულ სტუმრებს საქართველოს ისტორიას უყვება. ის სერტიფიცირებული გიდია და ძალიან აწუხებს, რაც ბოლო წლების განმავლობაში ამ სფეროში საქართველოში ხდება, როცა უცხოელი ე.წ. გიდები ტურისტებს საქართველოს ისტორიის თავისებურ ვერსიას უყვებიან.

**„ტურისტულ ადგილებში ხშირად ვხვდები უცხოელ მოქალაქეებს, ვისაც დაჰყავს უცხოელი ტურისტები და მათ უყვებიან საქართველოს ისტორიას, ხშირად მე მომისმენია ეს ისტორია და ეს არ არის საერთოდ ადეკვატური და არ შეესაბამება საქართველოს წარსულს. ჩვენ გიდები ვართ უცხოელი მოქალაქეებისთვის, ფაქტობრივად, ელჩები, აცნობ უცხოელ მოქალაქეს საქართველოს კულტურას, ისტორიას. მე ვფიქრობ, რომ საქართველოს მოქალაქე, პირველ რიგში, უნდა აცნობდეს ამ ისტორიას, კულტურას და არ იყოს ისეთი პრობლემა, რომ უცხოელი მოქალაქე შემოვიდეს აქ და დაუსაბუთებლად, არასერტიფიცირებულად, არაკანონიერად გიდობდეს“,** – ამბობს გიდი **გიორგი ბურბენიძე.**

საქართველოს სერტიფიცირებული გიდები ახლა სახელმწიფოს სთხოვენ დახმარებას. მათ სურთ, კანონში ცვლილებები შევიდეს.

**„სამწუხაროდ, ვერ მივიღეთ შედეგად ის კანონი, რომელიც სასარგებლო იქნებოდა, რომელიც ხელს შეუწყობდა პრობლემების მოგვარებას, რომელიც ხელს შეუწყობდა საქართველოს მოქალაქეების დასაქმებას და დიდწილად ისეთი მუხლებია, რომლებიც ჩვენთვის პირიქით დამაზიანებელია. ის ხალხი, ვინც მუდმივად არის დასაქმებული ამ სფეროში, ვინც თავის მხრებით დღევანდლამდე მოიტანა ეს სფერო და განავითარა, სწორედ ისინი იძულებულნი ხდებიან, მიატოვონ სფერო და სხვაგან ეძებონ სამუშაო, ასევე ხშირ შემთხვევაში დატოვოს ჩვენი ქვეყანა და სხვა ქვეყანაში ეძებონ სამუშაო“,** – განუცხადა „ევრონიუს ჯორჯიას“ **გიორგი თეთრაძემ,** საქართველოს ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარემ.

**„გასაგებია, რომ კანონის მომზადება იყო სასიცოცხლოდ აუცილებელი, ახლა იწყება მუშაობა ქვემდებარე აქტებზე, მაგრამ ამასობაში ჩვენ ვკარგავთ ტურისტულ ბაზარს, იმ ბაზარს, რომელსაც ქვეყნის ბიუჯეტში შეუძლია შემოიტანოს მილიარდები! დამერწმუნეთ, ვინც ამ სფეროშია დასაქმებული, საკუთარ თავზე იგრძნობს ტურისტული სეზონის დაწყებიდან თუ რამხელა პრობლემის წინაშე დადგება, როდესაც ჩაანაცვლებს მას უცხოეთიდან შემოსული გიდი, რომელმაც არამცთუ არ იცის ჩვენი ქვეყნის ისტორია, მიზანმიმართულად, შეგნებულად მახინჯდება ისე, როგორც აწყობს მისი ქვეყნის პოლიტიკას, ეს ძალიან საშიში ტენდენციაა“,** – აღნიშნა საქართველოს ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ **ეკა გეგეშიძემ.**

**ბექა დანელია**

# ენერგეტიკა და „აფხაზი ხალხი“

## არასოდეს არავინ და არაფერი ეკუთვნის ხალხს!



(მეხუთე გვერდიდან)

ასე, მაგალითად, ერთ-ერთმა ადგილობრივმა „ექსპერტმა“ დასაშვებად მიიჩნია ენერგოობიექტების პრივატიზება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორი გამომუშავებული ელექტროენერგიის ნახევარს აფხაზეთს დაუტოვებს...

როგორც ჩანს, სოხუმს ინვესტიციები ქველმოქმედებაში ერევა და თვლის, რომ ენერგოსისტემის მოგებაზე მუშაობა კატეგორიულად ეწინააღმდეგება „აფსუარას“ პოსტულატებს.

**ასევე კატეგორიული წინააღმდეგია აფხაზური საზოგადოება ტარიფების ზრდის. დიდი ხანია, თვალს ვადევნებ ამ თემას და ვერ ვიხსენებ ვერც ერთ აფხაზს, ალბათ, ასლან ბჟანიას გამოკლებით, რომელიც აცნობიერებს ერთ ხელშეუხებელ ჭეშმარიტებას: აფხაზეთში ელექტროენერგიის ფასი იმდენად მიზერულია, რომ ეს უკვე სასაცილოც აღარაა. და მსგავსი ტარიფითაც კი მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს თითქმის არავინ იხდის.**

ამ კონტექსტში ჩნდება მხოლოდ ერთი კითხვა: **როგორაა საერთოდ აფხაზური ენერგეტიკა ამ დრომდე ცოცხალი? მისგან ხომ წესით, აღარაფერი უნდა იყოს დარჩენილი...**

აფხაზების სრულიად ირაციონალურ სწრაფვას, არარეალისტურად დაბალი ტარიფები შეინარჩუნონ, პრაქტიკული არგუმენტები არ გააჩნია. გარდა იმისა, რომ „ენერგეტიკა ხალხს უნდა ეკუთვნოდეს“, არსებობს კიდევ ერთი „რკინის“ არგუმენტი: „ტარიფების გაზრდამდე ხელფასები მოგვიმატონ!“. ამას გაიძახიან აფხაზები და ჰგონიათ, რომ აქ კონტრარგუმენტები ვერ იარსებებს.

არადა, არსებობს. რა კავშირი აქვს ელექტროენერგიასთან ხელფასის ოდენობას? ელექტროენერგია ხომ საქონელია, რომელსაც თავისი ფასი აქვს და ხელფასების ოდენობა ენერგეტიკოსთა საზრუნავი არაა.

რატომ არავის მოსდის თავში სიმეტრიული იდეა, მოითხოვოს პურის გაიაფება? ეს ხომ ისეთივე საბაზრო საქონელია, როგორიც ელექტროენერგია, მაშ რატომ არ ვრცელდება მასზე იგივე პრინციპი?! ელექტროენერგია უფრო მნიშვნელოვანია? – გიცდიათ პურის გარეშე ცხოვრება? სცადეთ – და ელექტროენერგიის არქონა აღარ მოგეჩვენებათ იმდენად მძიმედ!

გავეცანი ათობით აფხაზი ექსპერტის გამოსვლას. ზოგიერთი მათგანი იმასაც კი ბედავს, თავს „ეკონომისტი“ უწოდოს. არადა, მათ კონცეფციებში ყველაფერია, ეკონომიკის გარდა. ენერგოკრიზისის აღმოფხვრის მათ მიერ შემოთავაზებული ვარიანტები ზუსტად მიესადაგება საბჭოთა პერიოდის პოპულარულ სადღეგრძელოს – „Чтоб у нас все было, и нам за это ничего не было“ („ყველაფერი გვქონოდეს, თან საზღაურის გარეშეო“).

არც ექსპერტი ვარ და არც ეკონომისტი, რთულ კონცეფციებს არ ვქმნი, თუმცა შემიძლია, დანამდვილებით გითხრათ: კერძო ინვესტორისთვის გადაცემის, ტარიფის რადიკალური ზრდისა და ხარჯვის აღრიცხვის გამართული სისტემის გარეშე აფხაზურ ენერგეტიკას არაფერი ეშველება.

**ცხადია, ინვესტორები მხოლოდ რუსები შეიძლება იყვნენ და აფხაზები არ იწვიან სურვილით, დაშლის პირას მყოფი ენერგოაქტივები მათ გადასცენ, თუმცა არსობრივად, ისინი სადღეისოდ ალბათ, პასივს უფრო წარმოადგენენ, ვიდრე აქტივს.**

**რატომ ეშინიათ აფხაზებს ენერგეტიკაში რუსების შეშვების? თუ თავი დაკარგე, თმას მისტირო – რა აზრი აქვს?! ბიუჯეტის 50%-ს რუსეთისგან იღებდე, რუსი ტურისტების ხარჯზე გაგქონდეს თავი, ვალუტად რუსულ რუბლს იყენებდე – ერთი სიტყვით, სრულად ჩააბარო „ქვეყნის“ მეურვეობა რუსებს, მერე კი რაღაც ელექტროსადგურების გამო გაჯიქდე?!... არასერიოზულია.**

რაც ადმინისტრირებას ეხება, აფხაზეთში ყველაფერი დაახლოებით ისე უნდა გაკეთდეს, როგორც „ენგურსგაღმელები“ აკეთებენ: თუ დავალიანების გადახდის ვადა დღეს საღამოს ამოეწურა, ხვალ დილით ურჩ გადამხდელს დენს უჭრიან – განურჩევლად იმისა, რამდენი მცირეწლოვანი შვილი ჰყავს, რამდენად მძიმედ ჰყავს სნეული დედა და რამხელა ხელფასს იღებს... სხვა ვარიანტი არ არსებობს.

მარადიული აფხაზური სწრაფვა, ვითარება რაღაც სასწაულებრივად თავისით გამოსწორდეს ისე, რომ თან აფხაზური ცხოვრების ნირიც შენარჩუნდეს და თან ცხოვრების ავსტრიული დონეც მიიღწეს, ძალიან მალე კრახით დასრულდება.

არ შემიძლია, არ გავიხსენო ქართული ენერგეტიკის ისტორია: თავის დროზე მან ისეთ კატაკლიზმებს გაუძლო, მათთან შედარებით აფხაზეთის ამჟამინდელი შეზღუდვები არაფერია. 1990-იან წლებში ადამიანები უშუქოდ არათუ საათობით, დღეობით ისხდნენ. და ეს – დედაქალაქში, რეგიონებში კი მთელი თაობები დაიზარდნენ ისე, რომ ნათურა ინტერიერის უსარგებლო ნაწილი ეგონათ. დიდ იღბლიანობად ითვლებოდა ცხოვრება სადმე საავადმყოფოს ან პურის ქარხნის სიახლოვეს: გამჭრიახი მოქალაქეები მათ კაბელებს „ასხდებოდნენ“ და დენი უწყვეტ რეჟიმში ჰქონდათ იმ დროს, როცა დანარჩენები სრულ წყვდიადში რჩებოდნენ.

**მაშინ, ისევე, როგორც ახლა აფხაზეთში, საქართველოს მოსახლეობას უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნდა, ენერგეტიკა „ქართველი ხალხის კუთვნილებაში“ ყოფილიყო. ჰოდა ხალხიც ენერგეტიკას ისე მართავდა, როგორც გაეგებოდა – ადგილებზე იპარავდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ენერგოსისტემა ხალხის კუთვნილებიდან გავიდა და კონკრეტული მფლობელი გამოუჩნდა, ელექტროენერგიის გათიშვები შეწყდა. აფხაზეთიც ან ამ გზით წავა, ან ერთ „მშვენიერ“ დღეს სრულ წყვდიადში აღმოჩნდება.**

**თენგიზ აბლოთია**

## სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი


Lasha Gabelia Photography

# გვახსოვხართ, ჭარმაულებო!

## საცოდაობაა თუ გვარი არ მრავლდება

**ჭარმაული აზნაურული გვარია საქართველოში და კერძოდ ქართლში, ძირითადად საეკლესიო აზნაურთა ფენას განეკუთვნებოდნენ, საეკლესიო აზნაურებს აგრეთვე ეწოდებოდათ საყდრისშვილი, ეკლესიისშვილი ან უბრალოდ იმ ეკლესია-მონასტრის შვილი, სადაც იყვნენ აზნაურებად. მაგალითად: სვეტიცხოვლისშვილი ან გერგეთისშვილი, მცხეთისშვილი და სხვა.**

**პირველი ისტორიული ცნობა ჭარმაულების გვარის შესახებ განეკუთვნება XIII საუკუნეს, კერძოდ 1297-1298 წლების სიგელს, რომელიც დავით მეფემ, ჭარმაულ გრიგოლ ჭაჭნიაშვილს უბოძა.**

„სახელითა ღვთისათა, დავითისაგან ბაგრატუნიანისა, ნებითა ღვთისათა.... მოვიდა ჩვენ წინაშე ჭარმაული ჭაჭნიაშვილი გრიგოლ და გვეაჯნა მოგვახსენა, რაითამცა შევიწყალეთ და ჟინვანისა შესავალი შუანის ხევს, სოფელი ლაუშაი სიგლით ამით სამამულოდ მიუბოძეთ.

დაგუაჯერა ღმერთმან და ვისმინეთ ჰაჯაი და მოხსენებაი ჭაჭნიაშვილისა გრიგოლ ჭარმაულისაი და მიუბოძეთ ჟინივნის პირის სოფელი ლაუშაი და ამიერთაგან ჰქონდეს ჭარმაულს ჭაჭნიაშვილს გრიგოლს, შვილთა და ყოველთა მომავალთა მისთა შუანის ხევს სოფელი ლაუშაი, მისითა მიმდგომითა, მთითა, ბარითა, ტყითა, ველითა, ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, ჭალითა, სანადიროთა და ყოველთა სამართლიანითა ზღვრითა და მიმდგომითა მისითა,სახმარითა და უხმარითა, ერთგულად მსახურებისა შინა მეფობისა ჩვენისა.

**დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩვენი ინდიქტიონისა მეფობისა ჩვენისასა მეხუთესა, ხელითა მწიგნობრისა იაკობისა უგანოისძისითა დამტკიცებით...“**

ამ საბუთის მიხედვით ირკვევა, რომ გრიგოლ ჭარმაულს მეფე დავითმა უბოძა ჟინვალში სოფელი ლაუშა.

უფრო ძველი ცნობა ამ გვარის შესახებ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება, როგორც ჩანს ამ პერიოდში ჭარმაულები შეძლებული აზნაურები იყვნენ ან ისეთი სამსახური გაუწიეს მეფეს, რომ ისინი მამულით, დიდი სოფლის მიწა-წყლით დაასაჩუქრა.

ამის შემდეგ ჭარმაულები ისტორიის ფურცლებზე XV საუკუნემდე არ ჩანან. 1442 წელს მღვდელს იოანე ჭარმაულს, ჰყავს ძმა ავთანდილი, რომელმაც იყიდა საამ გაბრიელაშვილისგან არაგვზე მისი მკვიდრი გუბის მიწა. კონსტანტინე მეფემ და კათალიკოსმა შიომ მას უწყალობეს ამბროსიძისეული მამული ხატისწობენი, რომელიც ადრე ბერინაშვილებს ჰქონდათ. იგი ალექსანდრე მეფეს მცხეთისშვილად დაუსვია და უწყალობებია სოფელი ოროტა. შიო კათალიკოსის ნებართვით, მას მიეცა სამცხეთიშვილო მამულები კარსანში, ჯვარში, ფოსვში, ოროტაში, კუტალაში, ძაგნაკორნაში, ხატისწობენში.

XVII საუკუნის ერთ-ერთ საბუთში იოანე ჭარმაული ჩანს აღაიანის მოურავად.

1602-1626 წლებში გიორგი მეფის ნებართვით, ჭარმაულ დავითს კათალიკოსმა დომენტიმ გოგონაანშენში უბოძა ოთხი კომლი და სახასო მიწიდან ორი წილი. ლუარსაბ მეფემ მას დაუმტკიცა დომენტი კათალიკოსის მიერ 1602 წელს მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნი.

1656-1690 წლებში ზაქარია ჭარმაულს უჭირავს მერიქიფეთუხუცესის სახელო. ქრისტეფორე კათალიკოსმა მას უწყალობა ბროწლეთში გლეხი ქათიაშვილი, ორი საკომლო მიწა სახნავით, ბროწლეთშივე – სვეტიცხოვლის ყმა მამული და კარის მერიქიფეთუხუცესობა. იასე ჭარმაულს შვილებთან გაყრის შედეგად ერგო მცხეთის სასახლის ნახევარი, სამკვიდრო კარსანში, სვეტიცხოვლის ზვარი, ზვრის ბოლოს ხოდაბუნი და აღაიანის მოურავობა.

1693 წელს მცხეთის სიგელით ვგებულობთ, რომ ჭარმაულ პაატას ნიკოლოზ კათალიკოსმა **„განუახლა წყალობის წიგნი და შვილთა მათთა უწყალობა წეროვანში კარის ეკლესია სამკვიდროდ და საბოლოოდ“.**

ჭარმაულები საკმაოდ ძლიერი მემამულეები ჩანან და საეკლესიო აზნაურთა ფენას განეკუთვნებოდნენ. ისინი ფლობდნენ სხვადასხვა სახელოს და მრავალ ყმა მამულს, ვინაიდან კათალიკოსი და კერძოდ სვეტიცხოველი მდიდარი იყო თავისი მამულებითა და ყმებით, რა თქმა უნდა, მათი აზნაურები ეკონომიურად უფრო ძლიერები იყვნენ ვიდრე სხვა საეკლესიო აზნაურები.

ამ შესანიშნავი გვარის წარმომადგენლებისაგან და წინამძღოლისგან კარგი იქნებოდა, მოგვესმინა, რას საქმიანობს საგვარეულო დარბაზი, დაადგინეს თუ არა, რამდენი ჭარმაული ცხოვრობს დღეს საქართველოში. პატრიარქისაგან დაილოცა თუ არა გვარი, როგორ ფიქრობენ, გვარის შეკავშირებას, ვინ ყავთ გამორჩეული გვარში, რა საქველმოქმედო საქმიანობით გამოირჩევიან, აქვთ თუ არა შემორჩენილი ისტორიული სოფელი ან ეკლესია-სალოცავი, როგორ აპირებენ სახელოვანი წარსულის მაგალითების თანამედროვე ცხოვრებაში მათ გამრავალფეროვნებას და სხვა.

დღეს უპირველესია, გვარმა არ დაკარგოს ბრძოლისუნარიანობა, იგი უნდა განვითარდეს სულიერად, ზნეობრივად, ფეხი აუწყოს დღევანდელობას და რაც მთავარია, გვარი უნდა გამრავლდეს და ასახელოს დედასამშობლო.

**გვახსოვდეს, თუ გვარი არ ვითარდება, საცოდაობაა, მხოლოდ წარსულით და ისტორიული მაგალითებით თავის მოწონება სიკეთეს არ მოგვიტანს.**

**ვალერიან ლომიძე,**
**სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის წევრი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი**




# საქართველო-ბასკეთის პირველი „კულინარიული“ კონგრესი

### ხოსე მარი აიზეგა: CULINARY CONNECTION-ი შესანიშნავ შესაძლებლობას იძლევა ქვეყნებს შორის ურთიერთობების ჩამოყალიბებაში ერთი უნივერსალური ენით, რომელსაც გასტრონომია ჰქვია

**2-3 მარტს, კახეთში, 2024 წლის მთავარი კულინარიული მოვლენა, საქართველოსა და ბასკეთის გასტრონომიული კონგრესი – „CULINARY CONNECTION EUSKADI-GEORGIA“ ჩატარდება.**

კონგრესის ფარგლებში მოეწყობა პანელური დისკუსიები, პრეზენტაციები და კულინარიული შოუ, რომელსაც ცნობილი ბასკი და ქართველი შეფები გაუძღვებიან. ღონისძიება 250-ზე მეტ ადამიანს უმასპინძლებს. კონგრესზე მოწვეულები იქნებიან საქართველოს ყველა კუთხეში მოქმედი სასტუმროებისა და რესტორნების შეფ-მზარეულები.

ღონისძიება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და ბასკეთის მთავრობის მხარდაჭერით, ასევე ბასკეთის კულინარიული ცენტრისა და Mantala-ს ორგანიზებით ტარდება. ბასკეთი-საქართველოს გასტრონომიული კონგრესი, მიზნად ისახავს არა მხოლოდ კულინარიულ ოსტატობის, არამედ – ენოგასტროტურიზმისა და ქართული სამზარეულოს განვითარებას.

**გასტრონომიულ კონგრესს გაუძღვებიან და მასტერკლასებს ჩაატარებენ ბასკეთისა და საქართველოს წამყვანი რესტორნებისა და სასტუმროების მასტერშეფები და სომელიეები:**

**ცნობილი ქართველი შეფები თეკუნა გაჩეჩილაძე, დავით ნარი ნარიმანიშვილი და ლუკა თოდუა.**

**პილი მანტეროლა – რესტორან „ირიბარის“ შეფი;**

**ენრიკე ფლაიშმანი – რესტორან „ბაილარას“ მთავარი შეფი;**

**ხაბი გოროჩატეგი – სოლ რეპსოლის მფლობელი და რესტორან „კასა ჯულიანის“ მასტერ შეფი;**

**ჯონ აიალა – რესტორან „ლაია ერეტეგიას“ შეფი;**

**იგორ არრეგი – რესტორან „კაია კაიპეს“ შეფი;**

**ხუან კარლოს კარო – „ზელაი ჩიკი“;**

**შუა იბანეზი – რესტორან „არზაკის“ სომელიე;**

**კრისტინა გარსია – რესტორან „აზურმენდის“ შეფ კონდიტერი;**

გასტრონომიულ კონგრესს ბასკეთის კულინარიული ცენტრის დირექტორი ხოსე მარი აიზეგა ეწვევა. კონგრესის ფარგლებში, ბასკეთის კულინარიული ცენტრის წარმომადგენლები, ბასკი შეფები და სომელიეები იმოგზაურებენ კახეთში, სადაც, ქართველ შეფებთან ერთად, დააგემოვნებენ ქართულ ღვინოსა და სამზარეულოს. კონგრესის მასპინძლები და ბრენდამბასადორები არიან დადუნა ღლონტი და ქეთი კვიჭიძე.

ფინალურ ღონისძიებაზე, ექსკლუზიურად მოწვეულ სტუმრებს გალა სადილით ბასკი შეფები გაუმასპინძლდებიან. 3 დღის განმავლობაში, ქართული და ბასკური სამზარეულო გასტრონომიის პროფესიონალთა ყურადღების ცენტრში მოექცევა.

„Culinary Connection Euskadi-Georgia“-ის მთავარი მხარდამჭერები არიან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია და გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერია, სს „საქართველოს ბანკი“, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“, კომპანია „ბორჯომი“ და მეღვინეობა „თელიანი ველი“. ღონისძიება ასევე ბასკეთის მთავრობის მხარდაჭერითა და ბასკეთის კულინარიული ცენტრისა და Mantala-ს ორგანიზებით იმართება.

* * *

**ბასკური კულინარიული ცენტრი წარმოადგენს უნიკალურ ეკოსისტემას, სადაც ინოვაცია, კვლევა და მეწარმეობა გასტრონომიის განვითარებისა და ხელშეწყობის თანმდევია.**

ცენტრის მისია ემყარება ისეთ ფასეულობებს, როგორიცაა ინოვაცია, ოსტატობა და სოციალური ვალდებულება. **ბასკური კულინარიული ცენტრი, რომელიც 2011 წლის სექტემბრიდან სან სებასტიანში ფუნქციონირებს, არის პიონერი დაწესებულება, რომელიც აღიარებულია გასტრონომიულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და კვლევისა და ინოვაციების ცენტრის მიერ.**



# ელისო ბოლქვაძე ჩეხეთის სენატის კომიტეტის თავმჯდომარეს შეხვდა

**პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძე ჩეხეთის რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში, სენატის განათლების, მეცნიერების, კულტურის, ადამიანის უფლებების და პეტიციების კომიტეტის თავმჯდომარეს პაველ კარნიკს შეხვდა.**

ელისო ბოლქვაძე სენატის საკომიტეტო საქმიანობას, ჩეხეთის საკანონმდებლო ორგანოს ორი პალატის ურთიერთკოორდინაციის და გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმებს გაეცნო. პაველ კარნიკმა მიმოიხილა საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ეროვნულ დონეზე არეგულირებს და ხელს უწყობს სახელოვნებო განათლებას. ელისო ბოლქვაძემ ხაზი გაუსვა სახელოვნებო განათლების ხარისხის უზრუნველყოფის და ხელმისაწვდომობის აუცილებლობას. კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა ინკლუზიური განათლების მნიშვნელობაზე და სახელოვნებო განათლების მიმართულებით მისი დანერგვის საჭიროებაზე.

# მამულის, ენის და სარწმუნოების გაცვლა არაფერზე არ შეიძლება!

(მეოთხე გვერდიდან)

მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია საჯარო გახდა, არც ერთი ქვეყნის სალჩო თავს ვალდებულად არ თვლის, ახსნას რატომ და რა მიზნებისთვის აფინანსებენ აგრესიულ LGBT პროპაგანდას საქართველოში და რატომ აფინანსებს ისეთ ღონისძიებებს, რაც ქვეყნის მოსახლეობის 99%-ისთვის მიუღებელია? თუკი აქამდე LGBT-ის პროპაგანდა ფარულად იყო მხარდაჭერილი საქართველოში მოქმედი სხვადასხვა საელჩოების მიერ, დღეს ვითარება შეიცვალა.

როგორც ჩანს, გარკვეული ძალები ცდილობენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში შეაღწიოს ამ იდეოლოგიის პროპაგანდამ და მოხდეს მისი მიმღებლობა. არაოფიციალური ინფორმაციით, საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას სხვა ვალდებულებებთან ერთად დათქმად მოჰყვა LGBT-ის საკითხი და როგორც უკრაინის შემთხვევაში მოხდა, არ არის გამორიცხული, ევროკავშირმა საქართველოს მოსთხოვოს ამ საკითხის კანონმდებლობით დარეგულირება, მით უმეტეს, რომ მათ საქართველოში ჰყავთ მხარდამჭერები. კერძოდ, არსებობს ლგბტქ უფლებებთან დაკავშირებით 15 პოლიტიკური პარტიის შეთანხმება, რომელიც გულისხმობს შემდეგს – მათ ხელთ არსებული ყველა მექანიზმის გამოყენებით, იბრძოლონ ქვიარ ადამიანების მიმართ დისკრიმინაციისა და ძალადობის აღმოსაფხვრელად.

ამ შეთანხმების ერთ-ერთი ხელმომწერია „ლელო“ და ალბათ, სიმბოლურიც არის, რომ **მამუკა ხაზარაძის** შვილის, **ანა ხაზარაძის** საპროდიუსერო კომპანიის „1991 Productions“ ფილმმა, სახელწოდებით „გზაჯვარედინზე“, ბერლინის კინოფესტივალზე ლგბტ ფილმების ჯილდო – The Teddy Award მიიღო.

„ხალხის ძალის“ წევრის **დიმიტრი ხუნდაძის** განცხადებით, პატარა ერების გადარჩენა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ ტრადიციების შენახვისადმი რა დამოკიდებულება აქვს საზოგადოებას. როგორც დეპუტატი აცხადებს, დასავლეთიდან, კერძოდ კი აშშ-დან ლგბტქ+ პროპაგანდა მასიურად ვრცელდება ბევრ ქვეყანაში და საფრთხეს უქმნის საქართველოსაც.

**„ქვეყანა, ერი, საზოგადოება იოლად მართვადია, როცა არ დგას მის ისტორიულ ტრადიციებზე, კულტურაზე, როცა თაობათა შორის ურთიერთობა მოშლილია, მით უმეტეს, როცა ქვეყანას დემოგრაფიული პრობლემები აქვს, ისე, როგორც, სამწუხაროდ, საქართველოს. ქვეყანა მილევად, ანუ მომაკვდავ ერებშია შეყვანილი და ამას სწორი პოლიტიკა სჭირდება. საფრთხეები უკვე ხილულია საზოგადოებისთვის. მაგალითად, აშშ-ის პრეზიდენტი, ბაიდენი ამბობს, რომ ტრანსგენდერები წარმოადგენენ აშშ-ის სულიერ სიმბოლოს.**

**თუ ოპონენტები ამ დროს იტყვიან, რატომ საუბრობთ აშშ-ზე და არა რუსეთზეო, რუსეთი გასაგებია, რომ ოკუპანტია, ამიტომ სტრატეგიულ პარტნიორად არ ავგირჩევია ის, არამედ აშშ ავირჩიეთ. მაგრამ, უკვე ზღვარს გადადის ლგბტქ+ პროპაგანდა აშშ-დან. ჩვენ მოვისმინეთ, ასევე, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის განცხადება, რომელიც აშშ-ში მცხოვრებ საჯარო მოხელეებს ეხებოდა, მაგრამ როგორც წესი, ხშირად საკითხი აშშ-ში იწყება და შემდეგ იოლად გადმოედება ხოლმე ჩვენს რეალობასაც. ეს სახიფათოდ განვითარებადი პროცესია. დასავლეთის არაერთ ქვეყანაში ამგვარი ტენდენციები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა“.**

მოსალოდნელ საფრთხეზე ამახვილებს ყურადღებას ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე,** რომლის განცხადებით, სამწუხაროდ, მსოფლიოში გაბატონებული არიან ის გლობალური ომის პარტიის ძალები, რომლებიც არა მარტო იარაღით ბრძოლას მიმართავენ, არამედ ფსიქოლოგიურად მოქმედებენ ადამიანების სულის გადასაბირებლად.

**„ეს არის იმ დიდი უხილავი გლობალური იმპერიის დასასრული, რომელიც აკეთებს ამ სამარცხვინო საქმეს. ყოფილა მსოფლიოს ისტორიაში ისეთი ფაქტები, როდესაც დიდი იმპერიები ბოლოს დაღუპა გარყვნამ, გათახსირებამ და ყოველგვარმა გამამაძაღლებამ.**

**ბუნებრივია, ისმის კითხვა, ვინ აკეთებს ამას? – პასუხი მარტივია – ამას აკეთებენ ის ადამიანები, რომლებიც დღევანდელ დღეს გავლენას ახდენენ მსოფლიო პოლიტიკაზე, იმ საელჩოებზე და იმ ქვეყნებზე, რომლებიც, ფაქტობრივად, მათ დამონებული ჰყავთ. აშკარად გამოვიდნენ „სამოღვაწეო ასპარეზზე“ და დაიწყეს არაადამიანური, არაამქვეყნიური ქმედებები. დარწმუნებული ვარ, რომ საელჩოები კიდევ უფრო მეტად გააქტიურდებიან ამ მხრივ. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ საელჩო ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გააკეთებს ამას, თუ არა აქვს მათი ქვეყნების ხელისუფალთა ხელდასმა. ესენი არიან ის ადამიანები, რომლებიც, სამწუხაროდ, წარმათავენ მსოფლიო პოლიტიკას“,** – აცხადებს **გვენეტაძე.**

კითხვაზე, იმ შემთხვევაში თუკი დადგება სახელმწიფო არჩევანის წინაშე, რომ საკანონმდებლო დონზე დარეგულირდეს LGBT თემის პროპაგანდა, ანალიტიკოსი ამბობს, რომ ასეთ შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა დაიცვას საკუთარი ქვეყნის ღირსება.

**„ალექსანდრე ყაზბეგს აქვს ნათქვამი – „გავწყდეთ ხალხო, მაგრამ სხვა ხალხს ნუ ვაბატონებთ“. არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება რაიმე კანდიდატობაზე, წევრობაზე და ა.შ. ტრადიციების, მამულის, ენის და სარწმუნოების გაცვლა. სადაც უნდათ, იქ აიფარონ ეს კანდიდატობა და სადაც უნდათ იქ იარონ. დღევანდელ დღემდე მოვედით რწმენით, რომელსაც ჰქვია მართლამდიდებლური სარწმუნოება და მისი ღალატი ნიშნავს იმას, რომ ჩვენ გადავშენდებით. ამიტომ, ქართველ ერს არც ერთ შემთხვევაში არ უღირს რაღაცა კანდიდატის სტატუსზე გაცვალოს საკუთარი მამული, ენა და სარწმუნოება“,** – აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას **ედიშერ გვენეტაძემ.**

**თამთა ქარჩავა**

## თურქეთი უკრაინასა და რუსეთს მოლაპარაკებების სტამბოლში გამართვას სთავაზობს



**თურქეთი უკრაინასა და რუსეთს სამშვიდობო მოლაპარაკებებს სტამბოლში ჩატარებას სთავაზობს,** – ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტმა, რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა. ერდოღანის თქმით, ანკარა აგრძელებს უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის მშვიდობიანი გადაწყვეტის მხარდაჭერას და მზად არის, შესთავაზოს პლატფორმა შესაბამისი „მოლაპარაკებებისთვის“.

**„მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ომის მესამე წელს ვიწყებთ და მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, მშვიდობის დამყარების მიმართულებით საკმარისი პროგრესი არ არის მიღწეული. მე ვრჩები იმის მომხრე, რომ დიპლომატიას და დიალოგს მიეცეს ომის დასრულების სამართლიანი შესაძლებლობა“,** – განაცხადა ერდოღანმა.

მისივე თქმით, ანკარა „ძირითადად მხარს უჭერს“ უკრაინის მიერ შემოთავაზებულ „მშვიდობის ფორმულას“. **„მეორე მხრივ, ჩვენ მზად ვართ, კვლავ შემოგთავაზოთ მოლაპარაკებების მაგიდა, რომელიც ადრე მოვაწყეთ სტამბოლში მშვიდობის დასამყარებლად“,** – აღნიშნა ერდოღანმა.

## 4 მილიარდი უკრაინისთვის... პენტაგონიდან

**აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტში უკრაინის დასახმარებლად რეზერვიდან ოთხი მილიარდი დოლარის გამოყენებას განიხილავენ. თავდაცვის დეპარტამენტს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დაახლოებით ოთხი მილიარდი დოლარი ჯერ კიდევ აქვს უკრაინისთვის, რაც პენტაგონს საშუალებას აძლევს, აშშ-ის საწყობებიდან იარაღი გააგზავნოს, თუმცა დეპარტამენტს არა აქვს სახსრები, რომ გაგზავნილი იარაღი ახალით ჩაანაცვლოს. ასევე, პენტაგონს არა აქვს რაიმე გარანტია, რომ იმ შემთხვევაში, თუ რეზერვის ოთხ მილიარდს გამოიყენებს, შემდეგში კონგრესი შეავსებს მას.**

„სიენენი“ წერს, რომ ჯერ ოფიციალური გადაწყვეტილება ამის შესახებ არ არსებობს, თუმცა საუბარი ამ გამოსავალსა და სხვა გეგემებზე მიმდინარეობს აქტიურად მას შემდეგ, რაც უკრაინაში ბრძოლის ველზე ვითარება უფრო გამწვავდა.

## თუმც ჩემულობს ლიდერობას, მაგრამ...

**მაკრონი ცდილობს ევროპის ლიდერი გახდეს, თუმცა საფრანგეთი ამისთვის მზად არ არის** – ამ შინაარსის სტატიას გამოცემა Politico აქვეყნებს. პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ საფრანგეთის პრეზიდენტის ხმაურიან განცხადებას უკრაინაში ჯარების შესაძლო გაგზავნის თაობაზე საფრანგეთის მოსახლეობა ენთუზიაზმით არ შეხვედრია.




**„უდავოა, რომ მაკრონი გლობალური ლიდერის მანტიის მორგებას ცდილობს, მაგრამ ეს მისთვის ძალიან რთული იქნება. ხმაურიანი განცხადების გამო მას არა მხოლოდ რადიკალი მემარჯვენეები და მემარცხენეები, არამედ ცენტრისტებიც დაუპირისპირდნენ. მაკრონის ინიციატივას არც მოსახლეობის მხარდაჭერა აქვს, რაც მისთვის ყველაზე დიდი პრობლემაა“,** – ნათქვამია სტატიაში.

## ღაზის სექტორში ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი შიმშილის ზღვარზეა

**მსოფლიო სასურსათო პროგრამის ცნობით, ანკლავში ბავშვთა არასრულფასოვანი კვების კუთხით მსოფლიოში ყველაზე მძიმე მდგომარეობაა.**

ადგილობრივი ჯანდაცვის უწყება კი ავრცელებს ინფორმაციას, რომ ღაზის საავადმყოფოებს საომარი მოქმედებების ფონზე, უმძიმეს პირობებში უწევთ მუშაობა. ისრაელ-„ჰამასს“ შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მისაღწევად მოლაპარაკებები გრძელდება.

## დახმარება მხოლოდ საჰაერო გზითაა შესაძლებელი

**აშშ-ის პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია ღაზის სექტორში დახმარების გაგზავნას საჰაერო გზით განიხილავს,** – ინფორმაციას გამოცემა „აქსიოსი“ ავრცელებს. როგორც გამოცემა იუწყება, ღაზის სექტორში სახმელეთო გზით დახმარების შეტანა სულ უფრო რთულდება.

**„ძალიან ცუდი სიტუაციაა. ჩვენ არ შეგვიძლია საკმარიისი დახმარების მიწოდება სატვირთოებით. ასე რომ, გვჭირდება საჭირო ზომების მიღება, როგორიცაა საჰაერო გზით შეტანა“,** – განუცხადა „აქსიოსს“ ამერიკელმა მაღალჩინოსანმა. „აქსიოსი“ ასევე წერს, რომ **მაღალჩინოსნების თქმით, საჰაერო გზით დახმარების მიწოდება არ იქნება განსაკუთრებით ეფექტიანი, რადგან დიდი ოდენობის დახმარების გადატანა შესაძლებელია მხოლოდ სახმელეთო გზით.**



# სლოვაკეთის საელჩოს საჩუქარი ქუთაისში მცხოვრებ დევნილებს

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრმა დავით ფაცაციამ საქართველოში სლოვაკეთის რესპუბლიკის ელჩთან მატუშ ბუსოვსკისთან ერთად, ქუთაისში, აფხაზეთის ჟიული შარტავას სახელობის №6 სკოლის გარე სპორტული მოედანი დაათვალიერა.**

აფხაზეთის მთავრობის ინფორმაციით, გარე სპორტული მოედანი სლოვაკეთის საელჩოსთან თანამშრომლობით, სლოვაკეთის განვითარების სააგენტოს მიერ მხარდაჭერილი საგრანტო პროექტის ფარგლებში რეაბილიტირდა.



**„განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა სლოვაკეთის საელჩოს ბავშვებისთვის სპორტული მოედნის რეაბილიტირების ხელშეწყობისა და აფხაზეთის მოსახლეობისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებაში მხარდაჭერისთვის.**

**პოზიტიური იყო სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრა, რომლებმაც მინისპექტაკლით გვიმასპინძლეს. მინდა მათ მივმართო და ვუთხრა, რომ მეამაყებით და მჯერა, რომ ამ რეალობაში თქვენი შესაძლებლობა იქნება განუზომლად მნიშვნელოვანი და სწორედ თქვენ ხართ ის თაობა, რომელსაც შეხება არ ჰქონია კონფლიქტთან, თქვენ ხართ ყველაზე ლაღები, თავისუფლები და უნდა აგრძნობინოთ ჩვენი ოჯახის წევრებს – აფხაზებს ეს თავისუფლება“,** – განაცხადა დავით ფაცაციამ.

# განცხადება საჯარო განხილვის შესახებ

**გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა -**

**გარდაბნისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში სსდ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „ნატახტარი (წიწამური)-რუსთავის მონაკვეთის ლოჭინის კვანძიდან რუსთავამდე უბნის (ლოტი №5) მშენებლობა და ექსპლუატაცია**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

**დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:**

- **2024 წლის 10 აპრილი, 12:00 საათი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. გამარჯვების კულტურის სახლის შენობა**
- **2024 წლის 11 აპრილი, 12:00 საათი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. ყარაჯალარის საჯარო სკოლის შენობა**
- **2024 წლის 11 აპრილი, 15:00 საათი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. ყარათაკლიის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **26 აპრილის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 23 თებერვალი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.



# თელავს შთამბეჭდავი აეროპორტი ექნება

**როგორი იქნება თელავის ახალი აეროპორტი** – ფოტოებს FACEBOOK-ზე ეკონომიკის მინისტრის მოადგილე მარიამ ქვრივიშვილი ავრცელებს.

**„თელავის აეროპორტის განვითარების პროექტი იწყება:**

- **აშენდება ახალი ტერმინალი – 200,000 მგზავრზე მეტი გამტარუნარიანობით**
- **სრულად განახლდება და დაგრძელდება ასაფრენ-დასაფრენი ზოლი 1,7 კმ-მდე**
- **მოეწყობა თანამედროვე სანავიგაციო სისტემები**
- **აშენდება ახალი სანავიგაციო კოშკურა.**



**თელავის აეროპორტი მიიღებს შიდა ფრენებს ბათუმიდან, ქუთაისიდან, ამბროლაურიდან და მესტიიდან, რაც ხელს შეუწყობს შიდა და საერთაშორისო მოგზაურების მობილობის გაზრდას რეგიონებს შორის და მეტ ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს კახეთის რეგიონს.**

**ტერმინალის არქიტექტურულ კონკურსში, რომელშიც 13 კომპანია მონაწილეობდა, შპს „ხმალაძე არქიტექტორებმა“ გაიმარჯვა“,** – წერს მარიამ ქვრივიშვილი.

# ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის 2023 წლის ფინანსური ანგარიში

2023 წლის საწყისი (საბანკო)ნაშთი იყო 10832 ლარი. 2023 წლის შემოსავალი იყო **114400** ლარი და 4 ლარი არასაოპერაციო შემოსავალი (მაგთის ბილის დაკორექტირება). სულ შემოსავალი ნაშთის ჩათვლით არის **125236** ლარი.

2023 წლის ხარჯებმა შეადგინა **115380** ლარი. ჩატარდა 47 ვეტერან-ენერგეტიკოსის საიუბილეო თარიღების აღნიშვნა მისალოცი ადრესებით და ფასიანი საჩუქრების გადაცემით-თანხით 7145 ლარი, გაიცა ვეტერანებზე მატერიალური დახმარება (274-ჯერ) – 42310 ლარი, დაჯილდოვდა ომის მონაწილის 1 ვეტერანი 200 ლარით, 100წ იუბილესთან დაკავშირებით 1 ვეტერანი დაჯილდოვდა 500 ლარით, განთავსდა გაზეთში ვეტერანების ნეკროლოგები - 875 ლარი. სულ ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებებზე დაიხარჯა - **51030** ლარი.

ადმინისტრაციულმა ხარჯმა შეადგინა **60102** ლარი, საკანცელარიო ხარჯი **463** ლარი, კომუნიკაციური მომსახურეობა **640** ლარი, ბანკის მომსახურეობის საკომისიო **374** ლარი, დარიცხული 2023 წლის ამორტიზაცია **477** ლარი, დარიცხული ქონების გადასახადი **16** ლარი, ჟურნალ-გაზეთების გამოწერა **168** ლარი, აუდიტის მომსახურეობა **1180** ლარი, ოფისის იჯარა **600** ლარი, კონდენციონერის შეკეთების ხარჯი **30** ლარი, იუსტიციის სახლის ხარჯი **252** ლარი, ნოტარიუსის ხარჯი **48** ლარი.

## ბალანსი 1/01-2024 წლისთვის

| აქტივი | კოდი (სტრიქ) | წლის დასაწყისში | საანგარიშო პერიოდის ბოლოს | პასივი | კოდი (სტრიქ) | წლის დასაწყისში | საანგარიშო პერიოდის ბოლოს |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **მიმდინარე აქტივები** | | | | **მიმდინარე ვალდებულებები** | | | |
| ნაღდი ფული სალაროში - 1110 | 10 | 0,00 | 0,00 | მოწოდებიდან და მომსახურეობიდან წარმოქმნილი ვალდებულებები-3110 | 310 | 34,00 | 41,00 |
| ფული საბანკო ანგარიშებზე - 1210 | 20 | 10832,00 | 7680,00 | მიღებული ავანსები-3120 | 320 | | |
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურეობიდან - 1410 | 40 | 2200,00 | 4200,00 | გადასახდელი ხელფასები-3130 | 330 | | |
| მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ - 1420 | 41 | | | გადასახდელი საგადასახადო ვალდებულება-3380 | 370 | 5,00 | 0,00 |
| მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ-1430 | 60 | | | **სულ მიმდინარე ვალდებულებები** | | **39,00** | **41,00** |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები-1490 | 90 | | | **საკუთარი კაპიტალი** | | | |
| **სულ მიმდინარე აქტივები** | | **13032,00** | **11880,00** | სხვა საოპერაციო შემოსავლები - 6190 | 610 | 17967,00 | 16991,00 |
| **სასაქონლო მატერიალური მარაგი** | | | | გაუნაწილებელი მოგება-5310 | 540 | | |
| წინასწარ გაწეული ხარჯები-1700 | 160 | 0,00 | 23,00 | დაუფარავი ზარალი-5320 | 550 | | |
| მარაგები -1690 | 170 | 2372,00 | 3004,00 | **სულ საკუთარი კაპიტალი** | | **17967,00** | **16991,00** |
| **სულ მატერიალური მარაგი** | | **2372,00** | **3027,00** | **სულ ვალდებულებები და საკუთრი კაპიტალი** | | **18006,00** | **17032,00** |
| **სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი** | | | | | | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | | | | | |
| ოფისის აღჭურვილობა-2160 | 230 | 2602,00 | 2125,00 | | | | |
| სხვა ძირითადი საშუალებები-2190 | 250 | | | | | | |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | **2602,00** | **2125,00** | | | | |
| **სულ აქტივები** | | **18006,00** | **17032,00** | | | | |
| | | | | | | | |

თავმჯდომარე **იაშა ბოლქვაძე;** ბუღალტერი **ციცინო ბენაშვილი;** ფინანსური მენეჯერი **ნინო ჩირგაძე**

ახალი ხილი

# დაბადებულია ბაკურიანში

**დღეიდან სამი დღის განმავლობაში ბაკურიანი თოვლის ფრენბურთში გოგონათა და ვაჟთა ისტორიულ პირველ ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ეს პატივი საქართველოს იტალიასთან მძაფრ კონკურენციაში ხვდა წილად და საერთაშორისო კონფედერაციის გადაწყვეტილება მნიშვნელოვანწილად ჩვენი ზამთრის კურორტის ბუნებრივ განუმეორებლობასთან ერთად ქვიშის ფრენბურთის ტურნირების ღირსეულად მიღებისა და კლასიკური ფრენბურთის ევროფორუმის ასევე წარმატებით ორგანიზების ძვირფასმა გამოცდილებამ განაპირობა.**

რაც შეეხება მომავალი ექსტრიმის სპორტულ მხარეს, თეთრ სარბიელზე 10 ქვეყნის წარმომადგენლები ითამაშებენ, მათ შორის ჩვენი ქვეყნის 2-2 გუნდი, როგორც დებულებითაა განსაზღვრული მასპინძელთა სტიმულირების მიზნით.

არანაკლებ აქტუალურ ამინდის საკითხთან დაკავშირებით კი თამამად შეიძლება ითქვას, რომ მონაწილეებს გაუმართლათ, რადგან გაზაფხულის შემობრძანების მიუხედავად ბაკურიანი ისევ თოვლითაა გამშვენიერებული და სტუმრებს ტრადიციული პეიზაჟებით ეგებება.





ტრიუმფი

# უკვე სამგზის!

**მარიამ ფროდიაშვილის სახით ახალი ნინო სალუქვაძე გვეზრდებაო – გამოითქვა ტელეეკრანიდან ვარაუდი ამ დღეებში და თვით ასეთი შედარებაც კი ნათლად მეტყველებს ახალგაზრდა ტალანტის სიკაშკაშეზე.**

შეგახსენებთ, რომ უნგრეთის ქალაქ დიორში მიმდინარე ტყვიის მსროლელთა ევროპის ჩემპიონატის სტარტზე თელაველმა სნაიპერმა ქუთაისელ გიორგი მუმლაძესთან ერთად ახალგაზრდა წყვილებს შორის შერეული დისციპლინა მოიგო, შემდგომ კი კიდევ 2 ოქრო მოიპოვა, თანაც ერთი დღის განმავლობაში. დიახ, ჯერ დილით ტყუპისცალ სალომესთან და მარიამ აბრამიშვილთან კამპანიაში გუნდურ ბრძოლაში გაუსწრო ყველას, ხოლო საღამოს უკვე ინდივიდუალურ ტურნირში არ ჰყავდა ბადალი. ვულოცავთ!

კონტინენტური ფორუმი გრძელდება და სრული საფუძველი გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ საქართველოს 12-წევრიანი ნაკრების მონაგარი კიდევ უფრო გამდიდრდება, რადგან ცეცხლის ხაზზე ჯერ არ გამოსულა ჩვენი ლეგენდარული ჩუბინი ნინო სალუქვაძე.

სქინავს მხოლოდ

# კვარატაიმი აპენინებზე



**ჩინებულ ხასიათზე შეხვდა გაზაფხულს ხვიჩა კვარაცხელია, რომელმაც სასუოლოსთან გადადებულ გასვლით შეხვედრაში ზღაპრული მეორე ტაიმი ჩაატარა და ნაპოლის შთამბეჭდავ გამარჯვებაში ღირსეული წვლილი შეიტანა, რადგან როგორც ჰეთ-თრიქის ავტორ ოსიმენს გაუწია შედეგიანი ასისტენტობა, ისე, რაც მთავარია, იტალიურ კარიერაში შეასრულა მესამე დუბლი – 6:1 (ადრე – ვერონასთან და მონცასთან).**

აღსანიშნავია, რომ თავისი ყველაზე საყვარელი მეტოქის კარზე დაგეშილი კვარა შესვენებამდეც გამოირჩეოდა აქტიურობით, მაგრამ ჯერ მოედნის ცენტრიდან მცირედით გადააცილა ბურთი მასპინძელთა კარს, ხოლო შემდეგ მეკარემ ფეხით მოიგერია ხვიჩას ცაციათი შესრულებული უძლიერესი დარტყმა. ასე რომ, გოლს პლუს პასის სისტემით მისი მონაგარი უშუალოდ სერია – ა-ს აუტსაიდერთან 8-მდე გაიზარდა, კონკრეტულად მიმდინარე სეზონში კი ასევე 8-ბურთიან ნიშნულსა და 5 საგოლე გადაცემას უწია.

ამრიგად, კალჩოს ფინიშამდე 12 ტურით ადრე კამპანიელები 40 ქულით მერვე პოზიციას იყოფენ ლაციოსთან, საჩემპიონლიგო მეოთხეადგილოსან ბოლონიასთან ჩამორჩენა კი 8-ქულიანია და 3 მარტს დიდი ბრძოლაა: ნაპოლი – იუვე! რაც შეეხება ლიდერს, ინტერი 12 ქულით დაწინაურდა და ალბათ ვეღარაფერი შეუშლის ხელს ისტორიაში მე-20 სკუდეტოს მოპოვებაში.

რადგან მილანელები ვახსენეთ, აუცილებლად უნდა შევეხოთ 7 მარტს ბათუმის აჭარაბეთ არენაზე დანიშნულ საქართველოში პირველ ლეგენდათა მატჩს თბილისის დინამოსა და სწორედ ლურჯ-შავ ჩაუქრობელ ვარსკვლავთა, მათ შორის ფიგუს, კამბიასოსა და კამპანიის მონაწილეობით.

ამ დღეებში ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტსა (რექტორი **გიორგი ბარკალაია**) და მის ტერიტორიაზე მოღვაწე ინტერის აკადემიას მომავალი მატჩის მასპინძელი ვეტერანები – თემურ ქეცბაია, არჩილ არველაძე და ზურაბ ხიზანიშვილი ეწვივნენ. მათ ბავშვებს დაუვიწყარი წუთები აჩუქეს, მათ შორის ვიქტორინაში მონაწილეობითა და ლეგენდების მატჩზე დასასწრები ბილეთების გათამაშებით.

ჩვენ ხშირად გვიწევს მსგავს ღონისძიებებზე უცხოეთში გამგზავრება და ვოცნებობდით, ვარსკვლავთა სანახაობა საქართველოშიც გამართულიყო. მოხარულნი ვართ, რომ ეს რეალობად იქცა, – ბედნიერი იყო არჩილ არველაძე. მის სიხარულს გულშემატკივართა დიდი არმია უერთდება.

ოვალური ბურთი



# ფავორიტის სტატუსით

**გორჯღალოსანთა სამწვრთნელო შტაბმა ხვალ თბილისში, „მიხეილ მესხზე“ რუმინეთთან მატჩისთვის 34 მორაგბე გამოიძახა.**

2024 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალური შეხვედრა შაბათს 16 საათზე დაიწყება. შეგახსენებთ, მეორე ნახევარფინალში პორტუგალია ესპანეთს მასპინძლობს, ფინალი კი 17 მარტს პარიზში გაიმართება.

ჯგუფური ეტაპის შემდეგ გაფართოებულ შემადგენლობაში ოთხი ახალი სახეა. გუნდს დაუბრუნდა გამოცდილი 9 ნომერი ვასილ ლობჟანიძე, რომელიც ბოლო დროს „ტულონში“ „სამედიცინო ჯოკერის“ სტატუსით თამაშობს. შეკრებაზეა „მონპელიეს“ ბურჯი ლუკა ჯაფარიძეც, ასევე პოტენციური დებიუტანტები – „ლა როშელის“ კვაჭი ნიკოლოზ სუთიძე და „შავი ლომის“ მეორეხაზელი დემურ ეფრემიძე.

34-კაციან შემადგენლობაში 19 მორკინალი და 15 ხაზის მოთამაშეა.

ბორჯღალოსნებს 35 წლის განმავლობაში 272 თამაში აქვთ ჩატარებული და აქედან ყველაზე მეტი რუმინეთთან – 28. წლების წინ „მუხები“ ჩვენს მთავარ კონკურენტებად ითვლებოდნენ და პირველი 9 დაპირისპირებიდან 7 მოიგეს (1998-2006 წლებში), მერე კი სიტუაცია შეიცვალა.

მას შემდეგ 19 თამაშიდან საქართველომ 16 მოიგო, ერთი ფრედ დაასრულა და მხოლოდ ორი დათმო (2010 და 2017 წლებში). ჯამში ბორჯღალოსნებმა მოიგეს 18 თამაში, ერთი ფრედ დაასრულეს და დათმეს 9; გაიტანეს 64 ლელო და 617 ქულა, თავად კი 37 ლელო და 447 ქულა მიიღეს.

რუმინეთმა თბილისში წარმატებას უკანასკნელად 2003 წელს მიაღწია (19:6), ბოლოს კი თბილისს შარშან აგვისტოში ეწვია და სარეკორდო სხვაობით – 6:56 დამარცხდა. საქართველომ მეტოქეს 8 უპასუხო ლელო გაუტანა და ერთ კონკრეტულ მატჩში ყველაზე მეტი ქულა მოიხვეჭა.

2002 წლიდან ერთმორწმუნე ბორჯღალოსნებსა და „მუხებს“ შორის თამაშდება ანთიმოზ ივერიელის თასი (მსოფლიო თასის და მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის გარდა), რომელსაც დღემდე საქართველო 17-ჯერ, რუმინეთი კი 6-ჯერ ფლობდა.

# იტალიური მედიის შეფასება კვარაცხელიაზე: „სუფთა კლასია, უწყვეტი მაგია“

იტალიურმა მედიამ, ცხადია, მისი თამაში დადებითად შეაფასა:

**OASPORT.IT – 7.5 ქულა: „როგორ აკლდა ქართველს გოლი. დღეს ის შთაგონებული იყო შავ-მწვანეების მიერ დატოვებული სივრცეებით. მოედნის ცენტრიდანაც კი სცადა გოლის გატანა“.**

**VIRGILIO SPORT – 8 ქულა: „მოედნის ცენტრიდან სცადა ევროგოლის გატანა და ცოტა დააკლდა. რომ გასულიყო, სეზონის საუკეთესო გოლი იქნებოდა. მეორე ტაიმის სტარტზე ოსიმენს ისეთი პასი გაუკეთა, გატანა ადვილი რომ იყო. შემდეგ თვითონაც გაიტანა და დუბლი შეასრულა. „მაპეი სთედიუმი“ მისთვის უდავოდ კარგია“.**

**TUTTONAPOLI – 8 ქულა: „სასუოლო“ უტოვებს მას სივრცეებს, რაც კვარამ საუკეთესოდ გამოიყენა. საგოლე პასი და ორი შესანიშნავი გოლი, ჯერ მარჯვენა და მერე ხარიხის ქვეშ მარცხენა ფეხით“.**

**CALCIOMERCATO – 8 ქულა: „გამოსყიდვის სურვილი ჰქონდა, ყოველთვის ითხოვდა ბურთს და უმიზნებდა მეტოქეს. გოლის გატანა მოედნის ცენტრიდან სცადა, რამაც კონსილი ააკანკალა, შემდეგ აინთო და ტრესოლდის შეცდომით საგოლე პასი გააკეთა ოსიმენის ჰეთ-თრიქის დროს. მისი გოლების დროც მოვიდა: მთელი თავისი ხარისხი ჩადო პირველ გოლში, მაგრამ ასევე მეორე გოლშიც“.**

**TUTTOMERCATOWEB – 8 ქულა: „პირველ ტაიმშიც ცდილობდა გოლის გატანას, მეორე ნახევარი კი ოსიმენზე პასით დაიწყო. შემდეგ პირადი სიხარულიც იპოვა, ჯერ შორეულ კუთხეში დარტყმით, ხოლო მერე საზოლოო ანგარიშიც დააფიქსირა“.**

**CALCIONAPOLI 1926 – 9 ქულა: „ყველაფერი გააკეთა: გოლები (დუბლი), საგოლე პასი, ბურთის მოპოვება, სპრინტები ფლანგზე. როდესაც ბურთს ეხება, უწყვეტი მაგიაა. დღეს მისი შეჩერება შეუძლებელი იყო. წარმოიდგინეთ, რომ მისი გაკრიტიკების გამბედაობაც ჰქონდათ: სუფთა კლასია“.**



# რობინ დანიგანი: ევროატლანტიკურ გზას სჭირდება ძლიერი სასამართლო სისტემა!

**ევროატლანტიკური გზა საჭიროებს ძლიერ, დამოუკიდებელ, სანდო სასამართლო სისტემას, რომელიც იცავს ადამიანის უფლებებს. აშშ USAID-ის საშუალებით მოწოდებულია, გააგრძელოს პროგრესი სასამართლო რეფორმაზე საქართველოში,** – ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის ელჩმა, **რობინ დანიგანმა** განაცხადა.



რობინ დანიგანმა მონაწილეობა მიიღო USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის კონფერენციაში სახელწოდებით: „გავხადოთ მართლმსაჯულება ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი“.

**„მოხარული ვარ, შევუერთდე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს ნინო ბაქაქურს, საქართველოს ხელისუფლების, სასამართლო, აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოების წარმომადგენლებს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასა და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ამ ძალიან მნიშვნელოვან დისკუსიაში მოქალაქეების სამართლებრივ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობისა და ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ. საქართველომ უკვე მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს ამ სფეროში, რაც იყო აღიარებული, როდესაც საქართველომ მიიღო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი.**

**ჩვენ ძალიან მოხარული ვართ, USAID-ის, აშშ-ის მთავრობის საშუალებით გავაგრძელოთ საქართველოს პროგრესის მხარდაჭერა. ვფიქრობ, რომ დღეს მონაწილეთა ფართო სპექტრი აჩვენებს საქართველოს მოწოდებას, მიაღწიოს მეტ პროგრესს ევროატლანტიკურ გზაზე და ეს გზა საჭიროებს ძლიერ, დამოუკიდებელ, სანდო სასამართლო სისტემას, რომელიც იცავს ადამიანის უფლებებს. ასე რომ, მოხარული ვარ დღეს აქ ყოფნით. აშშ USAID-ის საშუალებით მოწოდებულია, გააგრძელოს პროგრესი სასამართლო რეფორმაზე საქართველოში“,** – განაცხადა რობინ დანიგანმა.



**საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობენ კავშირის წევრს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, შესანიშნავ პოეტს მაია კახიძეს მეუღლის, ცნობილი საესტრადო მომღერლის, ანსამბლ „ფაზისის“ წევრის**

## ბესო იობაშვილის

**გარდაცვალების გამო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ღირსეული ადამიანის სული.**

**პანაშვიდი 1, 2 III, დაკრძალვა 3 III, 14 საათზე, უნივერსიტეტის ქ. №6.**



# სააკაშვილის პატიმრობა იმაზე მიანიშნებს, რომ არავის აქვს უფლება, მის მსგავსად მოექცეს მოსახლეობას!

**– ქვეყნის რეპუტაციას აზიანებს ის ქმედებები, რაც სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ხელისუფლებაში ყოფნის დროს გააკეთა. წინა მმართველობა, რაც მოსახლეობისთვის უბედურების მომტანი იყო, ინიღბებოდა დემოკრატიით, ხალხს ამას აჯერებდნენ.**

**ადამიანს აქვს ჩადენილი დანაშაული, ვინც არ უნდა იყოს, კანონის წინაშე ყველა თანასწორები ვართ. ეს კი არ აზიანებს ქვეყნის რეპუტაციას, პირიქით. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ არავის აქვს უფლება, მოეპყროს ქვეყნის მოსახლეობას ისე, როგორც ამას სააკაშვილი და მისი გუნდი წლების განმავლობაში აკეთებდნენ,** – განაცხადა **პახა კალაძემ.**

# უძღები შვილის კვირიაკე

**3 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს უძღებ შვილს – ეს არის ხორციელის წინა კვირიაკე.**

ყველასთვის ცნობილია, რომ დღეს იკითხება სახარების მონაკვეთი იგავისა – უძღები შვილის შესახებ. იგავის აზრი ისაა, რომ ცოდვილის სინანული და ქრისტეს სამწყსოში დაბრუნება არის „დიდი სიხარული ცათა შინა“.

**იგავი კი ასეთია: ...ერთ კაცს ჰყავდა ორი ძე. უმცროსმა შვილმა უთხრა მამას, გამოეყო მისთვის თავისი წილი ქონება. იგი შორეულ მხარეს გაემგზავრა და იქ გაფლანგა მთელი თავისი ავლა-დიდება... როდესაც ძალიან გაუჭირდა და ადგა და მამამისისაკენ გასწია. მამას ძალიან შეებრალა შვილი, რომელიც ტირილით ითხოვდა პატიებას, „ვცოდე, მამა ცის მიმართ და შენს წინაშე, არღარა ვარ ღირსი შენი ძე მერქვას“.**

მამამ თავის მონებს უბრძანა, მოეტანათ საუკეთესო შესამოსელი, გაეკეთებინათ მისთვის ბეჭედი ხელზე, მოეყვანათ ნასუქი ხბო, დაეკლათ, ეჭამათ და ემხიარულათ.

უფროსი შვილი შემოესწრო ამ მხიარულებას. მან გაიკვირვა, მამას კი არ მოეწონა მისი საქციელი და მიუგო უფროს შვილს: **„შვილო, შენ ჩემთან იყავი და ყველაფერი შენია. ხოლო, რადგან შენი ძმა ცოცხალი მოვიდა, ახლა გვმართებს ერთად ვიმხიარულოთ“.**

**გიული ლიპარტია**

## კრიმინალი

# 2024 წლის იანვარში სისხლისსამართლებრივი დევნა 1 537 პირის მიმართ დაიწყო

**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2024 წლის იანვარში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1 537 პირის მიმართ. აქედან გამოსაცდელი ვადის გასვლამდე დანაშაული ჩადენილია 117 პირის მიერ, რაც დევნადაწყებული პირების 7,6 პროცენტს შეადგენს.**

საქსტატის ცნობით, **მიმდინარე წლის იანვარში დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 535 შემთხვევა თბილისში აღირიცხა, აჭარაში – 231, ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონში – შვიდი შემთხვევა.**

**2024 წლის იანვრის თვეში დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ის კონკრეტული მუხლების მიხედვით ასე გადანაწილდა: ქურდობა – 294 შემთხვევა; მუქარა – 208 შემთხვევა; ოჯახური ძალადობა – 187 შემთხვევა; ძალადობა – 125 შემთხვევა; გაუპატიურება – ხუთი შემთხვევა; გარყვნილი ქმედება – რვა შემთხვევა; თაღლითობა – 34 შემთხვევა; ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება – 209 შემთხვევა; ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება – ექვსი შემთხვევა; ყალბი დოკუმენტების დამზადება – 94 შემთხვევა.**

ამასთან, საქსტატის ცნობით, **მიმდინარე წლის იანვარში დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მუხლით – ექვსი შემთხვევა, ხოლო მკვლელობის მცდელობის მუხლით ოთხი შემთხვევა გამოვლინდა.**

# „ვაკეში მიცვალებული ლიფტში გაიჭედა“

**თბილისის ერთ-ერთ ამორტიზებულ ლიფტში, რომლის შეკეთებასაც ხალხი უშედეგოდ თვეებია, ითხოვს, მიცვალებული გამოსვენების დროს გაიჭედა,** – ამის შესახებ ჟურნალისტი **ნანიკო ხაზარაძე** წერს. მისი თქმით, ვაკის რაიონში მდებარე ლიფტიდან ცხედარი ერთი საათი ვერ გამოჰქონდათ.

**„მიცვალებული გაიჭედა ლიფტში!!! ლიფტში, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ შეაკეთეს!!! პრობლემა იყო მისი კარი, რომელიც არ იკეტებოდა. მოკლედ კარი არ გამოცვალეს, მხოლოდ კედლები და სარკე შეცვალეს, ასე გამოდის. რამდენიმე დღის წინ დეიდაშვილი გაიჭედა, საათნახევარი იჯდა, მერე დამხმარე ქალი, და ახლა მიცვალებული!!! ასე ველოდებით ვინმე გადრის, რომელიც არ ჩანს ჯერ... უკვე ერთი საათია მიცვალებული ლიფტშია! ვაკის რაიონის გამგეობა, SOS!!!**

**ვერ ვკრძალავთ ადამიანს“, – წერს ნანიკო ხაზარაძე.**

**მოგვიანებით ჟურნალისტმა დაწერა, რომ ლიფტი საკუთარი ძალებით გააღეს. კუსტარულად გავაღეთ ლიფტი... მე-11 სართულზე და ჩვენით გამოვიყვანეთ!!!** – წერს ხაზარაძე.

# „დასახიჩრებული იყოო, ამბობენ... ფულს სძალავდა ის ბიჭიო!“

**ადგილობრივების ინფორმაციით, ლილოს დასახლებაში, წინუბანში მოკლულ 21 წლის ქეთი ჯავახიშვილს ხელები მავთულით ჰქონდა შეკრული.**

როგორც ჟურნალისტებთან საუბარში ერთ-ერთი ადგილობრივი აცხადებს, სავარაუდო დამნაშავე იმავე დასახლების მცხოვრებია. ამასთან, ერთ-ერთი გავრცელებული ვერსიით, აღნიშნული პირი გოგონას ფულს სძალავდა.

**„მავთულით ჰქონდა ხელები შეკრული, დასახიჩრებული იყოო. მგონი, შინაურები არიან, ეჭვი აქვთ ახლომდებარე კორპუსში მცხოვრებზე, ფულს სძალავდა ის ბიჭი მგონი, ასეთი ლაპარაკი მიდის. ამ გოგოს ტელეფონი უპოვიათ გატეხილი, იმას ეძებენ“,** – აცხადებს მეზობელი. შეგახსენებთ, რომ წინუბანში, 21 წლის ქეთი ჯავახიშვილი მოკლული გუშინ დილით, სახლთან ახლოს იპოვეს. გოგონას დაზიანებები ბლაგვი საგნით ჰქონდა მიყენებული და ორმოში იყო ჩაგდებული. დამნაშავე **ოთარ ცინდელიანი,** რომელიც სამართალდამცავებს უკვე იდენტიფიცირებული ჰყავდათ, ზუგდიდში დააკავეს.





# პროკურატურამ რუსთავში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა

**პროკურატურის განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 27 თებერვალს რუსთავში, ბრალდებულმა შურისძიების მოტივით დაზარალებულს ბასრი საგნის გამოყენებით ყელის არეში ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.** მიღებული დაზიანებების შედეგად დაზარალებული ადგილზე გარდაიცვალა.

**„სამართალდამცველებმა ბრალდებული 28 თებერვალს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 10-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

**პროკურატურა, ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს“,** – აცხადებენ საქართველოს პროკურატურაში.

# გერმანიაში ცივი იარაღით შეიარაღებულმა სათვალეების მაღაზია და აფთიაქი გაქურდა...

**გერმანიაში, ოპტიკის მაღაზიიდან სათვალეების და აფთიაქიდან 50 ევროს ღირებულების პროდუქციის ქურდობისთვის, საქართველოს მოქალაქე დააკავეს.**

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 33 წლის ქართველმა და 42 წლის თანამზრახველმა, რამდენიმე ასეული ევროს ღირებულების სათვალეები ერთ-ერთი მაღაზიიდან მოიპარეს, ხოლო შემდეგ ახლომდებარე აფთიაქში წავიდნენ, საიდანაც 50 ევროს ღირებულების ელექტრონული აქსესუარები მოიპარეს. ჩხრეკისას დაკავებულ ქართველს ცივი იარაღი აღმოუჩინეს, თანამზრახველი მიმალულია! გამოძიება კი იარაღის დახმარებით ქურდობის ბრალდებით მიმდინარეობს. სასამართლომ მათ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.




# ზაიარ შაჰინის ქალიშვილები 6 მარტს საქართველოში კონცერტს გამართავენ

**ცნობილი მუსიკოსის, ზაიარ შაჰინის შვილები, თბილისში კონცერტს გამართავენ. ტრიო „სამი და“, 6 მარტს, ზუსტად ერთი დღით ჩამოდის საქართველოში და იუნუს ემრეს სახელობის ინსტიტუტის ორგანიზებით.**

ტრიო „სამი და“ 2016 წელს შეიქმნა. წევრები არიან: იუდუმ, დამილა და თამარა შაჰინები. ქართული პოლიფონიით გაჯერებულ რეპერტუარში აქვთ ქართული, ლაზური, მეგრული და თურქული სიმღერები. ასევე განსხვავებული ინტერპრეტაციით ასრულებენ სხვა ხალხების მუსიკას. კონცერტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის საკონცერტო დარბაზში გაიმართება.

# ფრანგული ჟურნალი ოთხ წელიწადში ერთხელ




**საფრანგეთში უნიკალური სატირული ჟურნალის La Bougie du Sapeur („გამნაღმველის სანთელი“) მორიგი ნომერი გამოვიდა.**

La Bougie du Sapeur 4 წელიწადში ერთხელ, ნაკიანი წლის 29 თებერვალს გამოდის. ჟურნალი პირველად 1980 წელს დაიბეჭდა, დღეს კი საფრანგეთში მის მე-12 ნომერს კითხულობენ. ეს ერთადერთი ჟურნალია მსოფლიოში, რომელიც ამ ფორმატში გამოდის. ჟურნალი მეგობრების ჯგუფმა შექმნა, მისი ტირაჟი 200 ათასი ეგზემპლარია, ფასი კი 4.90 ევრო.

**„მას შემდეგ რაც პირველი ნომერი 2 დღეში სრულად გავყიდეთ, შემდეგ ნომერზე მოთხოვნა ძალიან დიდი იყო. ჩვენი პასუხი იყო – კარგი, ოღონდ მხოლოდ 4 წელიწადში“,** – იხსენებს ჟურნალის რედაქტორი ჟან დინდი. მისი თქმით, ჟურნალს დღესაც რამდენიმე მეგობარი აწყობს, რომლებიც ბარში იკრიბებიან და იდეებს იქ ამუშავებენ.

La Bougie du Sapeur -ის შემქმნელები ჟურნალს „ანტი-პოლიტიკურად კორექტულს“ უწოდებენ. გამოცემაში არის ინფორმაცია პოლიტიკაზე, სპორტზე, საერთაშორისო საქმეებზე, ხელოვნებაზე და ა.შ. ასევე, ჟურნალში იბეჭდება მოთხრობა „დახრჩობა აუზში“, რომლის შემდეგ თავს მკითხველი მხოლოდ 2028 წელს წაიკითხავს.

# აბორტის უფლება კონსტიტუციურად დაამტკიცეს

**საფრანგეთის სენატმა მიიღო კანონპროექტი, რომელიც აბორტის უფლების კონსტიტუციაში ჩაწერას ითვალისწინებს.**

აღნიშნულ კანონპროექტს იანვარში მხარი დაუჭირა ეროვნულმა ასამბლეამაც. საკანონმდებლო პროცედურის თანახმად, კანონპროექტი პარლამენტის ერთობლივ სესიას გადაეცემა. ერთობლივ სესიაზე, რომელიც 4 მარტს გაიმართება, კანონპროექტის დამტკიცებას ხმათა 3/5 სჭირდება.



საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის გაბრიელ ატალის თქმით, დღევანდელი დღე „ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და საპარლამენტო ისტორიის ნაწილია“.

# ალენ დელონმა სახლი არსენალად აქცია



**ლეგენდარული ფრანგი მსახიობის, ალენ დელონის სახლიდან 72 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი და 3000 საბრძოლო მასალა ამოიღეს.**

მონტარჟის პროკურატურის ცნობით, 88 წლის მსახიობს იარაღის შენახვის უფლება არ ჰქონია. წინასწარი გამოძიება დაწყებულია იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე. ბოლოს ალენ დელონი საზოგადოების წინაშე 2019 წლის სექტემბერში, ჟან-პოლ ბელმონდოს დაკრძალვაზე გამოჩნდა. მსახიობს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს.

# ახალი „შიშველი პისტოლეტი“ 2025 წელს გამოვა



**სტუდია Paramount ცნობილი კომედიური ტრილოგიის „შიშველი პისტოლეტის“ ხელახალ გამოშვებას გეგმავს.**

ფილმის განახლებული ვერსია 2025 წლის 15 ივლისს გამოვა. ამჯერად მთავარ როლს სურათში ლიამ ნისონი შეასრულებს. „შიშველი პისტოლეტის“ პირველი ფილმი 1988 წელს გამოვიდა. მთავარ როლს ტრილოგიაში ლესლი ნილსენი ასრულებდა. პაროდიული კომედია ამერიკელი პოლიციელების საქმიანობაზე მოგვითხრობდა და შეიცავდა კომიკურ ალუზიებს ტელესერიალ „კოლომბოზე“, ჯეიმს ბონდზე და სხვა ცნობილ ფილმებსა თუ სერიალებზე.



# აუქციონზე ჰიროსიმის დაბომბვისას დამდნარი საათი გაიყიდა

**ბოსტონში, RR Auction-ზე 431 ათასად გაიყიდა საათი, რომელიც აშშ-ის მიერ იაპონიის ქალაქ ჰიროსიმას დაბომბვისას ნაწილობრივ დადნა.**

ლოტის აღწერაში მითითებულია, რომ საათი თითბრისგან არის დამზადებული. ატომური ბომბის ჩამოგდებისას, 1945 წლის 6 აგვისტოს, საათის კორპუსი ნაწილობრივ დადნა, შუშა კი გაიბზარა. ისინი ჰიროსიმაში ბრიტანელმა ჯარისკაცმა აღმოაჩინა, რომელსაც ქალაქში ჰუმანიტარული ტვირთი ჩაჰქონდა. საათის პირველი მფლობელის ვინაობა უცნობია. თუმცა ცნობილია, რომ ადამიანმა, რომელმაც ის გასაყიდად მიიტანა, ლოტი 2015 წელს, JP Humbert-ის აუქციონზე შეიძინა.

# ძალიან მენატრებით და... ბოდიშს გიხდით



**ბრიტანელმა მომღერალმა ადელმა მარტში, ლას-ვეგასში დაგეგმილი კონცერტების სერია ავადმყოფობის გამო გადადო.**

ასეთი გადაწყვეტილება მომღერალმა ექიმების რჩევით მიიღო, რომლებმაც მას „კარგად დასვენება“ ურჩიეს. ადელის თქმით, მას „სხვა არჩევანი არ ჰქონდა“. მომღერალმა დასძინა, რომ თავისი ბოლო კონცერტებისა და მათ შემდეგ აღებული პაუზის დროს სულ ავად იყო და ბოლომდე გამოჯანმრთელება ვერ მოახერხა.

**„მიყვარხართ, ძალიან მომენატრებით და ბოდიშს გიხდით“,** – დაწერა ადელმა. ადელს ლას-ვეგასში 10 კონცერტი ჰქონდა დაგეგმილი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 — ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 4 მარტს

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6599; ევრო - 2.8839;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3677;
100 რუბლი - 2.9008; თურქული ლირა - 0.0853;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5647;
1000 სომხური დრამი - 6.5897

**ამინდი 1 მარტისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | –5, | დღე +12 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | –10, | დღე +11 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +1, | დღე +20 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | –3, | დღე +16 |
| თბილისი: | ღამე | 0, | დღე +10 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge